№ 2900
შაბათი,
3 სექტემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2900
შაბათი,
3 სექტემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]: წელიწადში—6მ. „თვეში უდამატებლად—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ლევან ანტონის ძე მამულაშვილი და მეუღლე მისი ნინო თეოდორეს ასული შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ პირველი დედისა, მეორე დედამთილისა და მესამენი დიდედისა

ნინო სოლომონის ასულის მამულაშვილისას.

დაკრძალვა კვირას, დილით, 4 სექტემბერს, სოფ. ბიწმენდის ეკკლესიაში. (2—6.—1)

კნეინა მარიამ მიხეილის ასული და თავ. ვასილ დავითის ძე წერეთლები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და ამხანაგთ გარდაცვალებას 29 აგვისტოს ქ. ბათუმში, პირველი საყვარელ შვილის და მეორე—ძვირფას ძმის შორეულ აღმოსავლეთში მებრძოლ მე-17 კორპუსის პორუჩიკის

თავად როსტომ დავითის ძის წერეთლისას,

დაკრძალვა შაბათს, 3 სექტემბერს დაბა საჩხერის საგვარეულო სასაფლაოზე. (1—345—1)

კნ. ანნა ალექსანდრეს ასული ამილახვრისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 4 სექტემბერს,

გენ.-ადიუტანტის თავ. ივანე გივის ძის ამილახვრის

გარდაცვალების მეცხრე დღეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის დასაწყისი შუადღის 12 საათზე. (2—1)

კვირას, 4 ენკენისთვეს, გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

კონსტანტინე ლუარსაბის ძის ფურცელაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც ქვრივი მარიამ ნიკოლოზის ასული შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ და სთხოვს მობრძანდნენ დასასაფლავებლად სოფელ მერეთში, გორის მაზრა. (1—348—1)

ქალთა სასწავლებელი და პანსიონი
მ. გ. ზავრიევისა

მოსწავლეთა მიღება 28 აგვისტოდან დაიწყო. ამზადებენ **ყველა საშუალო სასწავლებლისათვის.**
მიხეილის პროსპექტ. № 79. (5—1)

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ნამესტნიკის მიერ დამტკიცებული
დრამატიული კურსები
ტფილისი, მიხეილის პროსპ. № 123. ტელეფონი № 788.

კურსი 3 წლისაა. საგნები, რომლებსაც კურსებზე ასწავლიან: მკაფიო გამოთქმა და სასცენო ხელოვნება სომხურ, ქართულ და რუსულ ენებზე; გრიმი, ხატვა, ცეკვა, პლასტიკა, მიმიკა, თეატრის ისტორია და ხმის დაწყება.

მიღება 20 ავგვისტოდან ყოველ დღე 12-დან 3-მდე და 5-დან 7 საათამდე, კურსების სადგომში.

პროგრამები იძლევა და იგზავნება უფასოდ. **კურსებთან არსებობს სცენა.**

(20—319—14) კურსების დამაარსებელი ს. მ. დოლუხანოვისა

✦ **საკუთ. პროგიმნაზია ავლაბარში** ✦

ამ სამოსწავლო წლის დამდეგიდან ავლაბარში გაიხსნება ვაჟთა სამინისტრო პროგიმნაზია; ამ ჟამად იხსნება ორი მოსამზადებელი, I და II ძირითადი კლასები. ვისაც ჰსურს მიაბაროს სასწავლებლად თავისი ბავშვი ამ პროგიმნაზიაში, უნდა მიმართოს თხოვნით და თან დოკუმენტები წარუდგინოს ინსპექტორს. თხოვნა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 11—1 საათამდე ავლაბარში, პროგიმნაზიის სადგომში, როზოვის მოედანზე, ნუნუფაროვის სახლში.

სწავლის გადასახადი წელიწადში 40 მანეთი. სწავლის და ეგზამენის დაწყების დრო შემდეგ იქნება გამოცხადებული. (3—6.—2)

იშვიათი ვაჭრობა
„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის"
ამხანაგობა

ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გავიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაინიშნა.

ვაჭრობა

მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.

100,000 მანეთისა.

მთელი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება ამაზე [illegible] ფასები დაინიშნოს, რასაც იაფ ვაჭრობის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ.
საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით ყოველ კონკურენციის გარეშეა.
ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.

ფასები შეუვაჭრებლად.

ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—94)

ქუთაისში თ. გ. მაჭავარიანის კერძო
საქალებო პროგიმნაზიაში
მისაღები ეგზამენები დანიშნულია ენკენისთვის 5-ს. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 9. სწავლის ფული წლიურათ ოცი მანეთი. მთხოვნელთ შეუძლიანთ მიმართონ სასწავლებლის გამგეს მის ბინაზე, ლევაშოვის ქუჩაზე, საკუთარ სახლში. (3—2)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს და სხამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 30. (30—21)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლაევსკის (№ 82) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეზე, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეებით 10—1-მდის.

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2-მდე და 5—7-მდე. კვირაობით მხოლოდ 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივანისა. (30—8)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი [illegible] № 15.

ექიმი
დ. გედევანიშვილი.
დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და იღებს ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე შინაგან და ნერვიან ავადმყოფებს და ექიმობს ელექტრონით.
ადრესი: კიროჩნი ქუჩა, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ, სახლი მარტინოვსკის. (თვ.—328—11).

ექიმი
პ. ა. არდაზიანი
იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილ. 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.
ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (30—11)

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—6.—30)

ტფილისის ქალაქის სამმართველო იწვევს მსურველთ, რომელთაც შეუძლიანთ ჩააბარონ **შეშა** ამ სამმართველოსა და იმის ქვემდებარე დაწესებულებებს, მობრძანდნენ სამმართველოს სადგომში 6 სექტემბერს ამა 1905 წლისა, 11 საათზე, სადაც დანიშნულია ვაჭრობა. (3—1)

ამ ინსტრუქციის მე-2 და 5 მუხლების ძალით, რომელიც ეხება მცხოვრებთა წარმომადგენლების კრებებს და სათათბიროებს **ამიერ-კავკასიაში საეროზო დაწესებულებათა შემოღების** შესახებ მოსალაპარაკებლად და თანახმად ტფილისის გუბერნატორის მოწერილობისა, გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. ნ. ა. თუმანიშვილი იწვევს გორის მაზრის ყველა კერძო მემამულეს, რომელიც სოფლის საზოგადოებას არ ეკუთვნის, აგრეთვე სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულების პატრონთ და იმ მესაკუთრე გლეხებს, რომელთაც სანადელო მიწებს გარდა აქვთ ნაყიდი მიწები, მობრძანდნენ 3 სექტემბერს, დილის 10 საათზე, გორის მაზრის კანცელარიაში, სადაც მოხდება წინასწარი და საარჩევნო კრებები წარმომადგენელთა ასარჩევლად სამაზრო საბჭოში. ეს საბჭო განიხილავს საკითხს საერობო დაწესებულებათა შემოღებისას ამიერ-კავკასიაში. კერძო მოწვევის ბარათები არავის დაეგზავნება. (3—6.—3)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათამდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791. (თვ. 80—1)

ოფიციალური ცნობა

(„კავ." № 224)

კავკასიის მცხოვრებთ

ამ ბოლო დროს კავკასიაში, ისევე, როგორც შიდა რუსეთში, შედგა მრავალი წრე, საიდუმლო პარტია და ჯგუფი; ესენი ერთმანეთისაგან მიზნით და მოქმედების საშუალებით განსხვავდებიან, საერთო კი ამათ შორის ის არის, რომ ყველანი სცდილობდნენ და სცდილობენ, არა ლეგალურ ბრძოლით, არსებულ სახელმწიფო წყობილების შეცვლას.

ეს პარტიები და ჯგუფები მოქმედებდნენ მცხოვრებთა სხვადასხვა წრეებში და თავიანთ იდეების იარაღად ხმარობდნენ ისეთ საშუალებას, რომელიც დღეს უფრო შესაფერ ნიადაგს ჰპოულობდა.

მუშათა შორის, მაგალითად, პროპაგანდას ეწეოდნენ და ითხოვენ ხელ-ფასის მომატებას და, საზოგადოდ, მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას. გლეხობაზე სხვანაირად მოქმედებდნენ: ეუბნებოდნენ, მიწა ცოტა გაქვსო, და ატყუებდნენ, მემამულეებს მიწა ჩამოერთმევათო, კერძო საკუთრება მოისპობაო და სხვა.

პროპაგანდის უმთავრეს იარაღად იმას ხმარობდნენ, რომ აგონებდნენ ხალხს: მართვა-გამგეობის საქმეში თქვენ თითონ უნდა მიიღოთ მონაწილეობა, თორემ ხალხის საჭიროებას სახელმწიფოს სათავეში მდგომნი ვერ გაიგებენ და ხალხის გულის ტკივილი მეფის ტახტამდე ვერ მიაღწევსო.

იაპონიასთან ომმა, რომელმაც ხალხით თუ ფულით დიდი მსხვერპლი მოითხოვა როგორც სახელმწიფოსა, ისე მცხოვრებთაგან, ეჭვი არ არის, გააადვილა მოქმედება საიდუმლო საზოგადოებისა და აგიტატორებისა.

შედეგი ასეთ ბოროტ აგიტაციისა თვალწინ გადაგვეშალა. ამ შედეგის დაფასება ყველას შეუძლიან, როგორც მუშებს, ისე გლეხებს: ჩაჰქრა ცხოვრება ოდესღაც აყვავებულ ბათუმში, რომელიც თავის მრავალმილიონიან ვაჭრობით და ქარხნებით საზრდოს აძლევდა რამდენსამე ათას მუშას; ქარხნებში მუშაობა შეჩერდა; ზოგი ქარხანა სრულიად გადააქვთ საზღვარ-გარედ, სადაც გამოჰკვებავენ ადგილობრივ მცხოვრებთ, რომელნიც უცხონი არიან ჩვენ და ჩვენის ინტერესებისათვის; შემცირდა მოქმედება ბაქოს სამრეწველოების და ქარხნებისა; აგიტაციით გატაცებული გლეხობა, მშვიდობიან მუშაობისა და შრომის ნაცვლად, მიეცა მემამულეთა სახლ-კარის აწიოკებას, სხვის მიწების მოხვნას პატრონის დაუკითხავად და, საზოგადოდ, სხვის ქონებით უსასყიდლოდ სარგებლობას.

სხვის გაძარცვით, მემამულეთა აწიოკებით გლეხობა მდიდარი არ გახდა; პირიქით, ამ ძარცვა-გლეჯამ გლეხობას დააკარგვინა ის შემოსავალი, რომელსაც შრომით იღებდა. ამას გარდა მან უნდა გადაიხადოს ძარცვა-გლეჯისაგან წარმომდგარი ზარალი. არ გამდიდრდნენ აგრეთვე მუშები, რომელთაც მუდმივის გაფიცვით, ხელ-ფასის გადიდების ნაცვლად, იმას მიაღწიეს, რომ დასცეს მათი მკვებავი წარმოება. განაცარმტვერებული და უადგილოდ დარჩენილი ხალხი სოფლებსა და ქალაქებს მიაწყდა. შიმშილმა აიძულა ეს ხალხი ძალ-მომრეობას და ძარცვა-გლეჯას მიჰყოს ხელი. ბოლოს სატუსაღოები გაივსო, მრავალმა ოჯახმა თავის გამომკვები მარჯვენა ხელი დაჰკარგა, იმ სისხლით, რომელიც უნდა ილვრებოდეს ბრძოლის ველზე სამშობლოს დასაცველად, ირწყვება მინდორ-ველი და საიდუმლო აგიტაციას ეწირება მრავალი უდანაშაულო მსხვერპლი.

6 აგვისტოს გამოცემულ უმაღლეს მანიფესტით მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღების უფლება ეძლევა მთელ იმპერიას. ეს საქმე გამოიხატება სახელმწიფო სათათბიროში არჩეულ კაცების მოწვევით და კანონების გამოცემაში მუდმივ და მხნე მონაწილეობის მიღებით.

ამიერიდან ხალხის ყოველივე საჭიროება პირდაპირ მივა იმის ყურამდე, ვინც ღვთის მიუწვდომელ განგებით მოწვეულია რუსეთის სახელმწიფოს მმართველად. ამიერიდან მცხოვრებთა ყოველ წრეს შეძლება მიეცემა სანდო და საიმედო კაცების მეოხებით მიიღოს პირდაპირი მონაწილეობა მართვა-გამგეობის საქმეში. ამ საქმისთვის დღეს არის კანონიერი გზა. მცხოვრებნი, თავის მხრივ, მოვალენი არიან გაამართლონ ნდობა, დაუბრუნდნენ მშვიდობიან ცხოვრებას, პატივისცემით მოეპყრან აწ მოქმედ კანონებს და, სახელმწიფო სათათბიროში თავის დროზე ღირსეულ კაცების არჩევით, გაუადვილონ ხელმწიფეს ძნელი საქმე მართვა-გამგეობისა. სათათბიროს დაარსებით და სახელმწიფო საქმეებში ხალხის მონაწილეობით თავის თავად ისპობა არსებობა საიდუმლო საზოგადოებებისა, წრეების და ორგანიზაციებისა. თუ ესენი ეტყვიან საზოგადოებას, რომ უმაღლესის მანიფესტით დაპირებული რეფორმა სრული არ არისო, რომ საჭიროა უფრო დიდი და სრული რეფორმაო, ვსთხოვ მცხოვრებთ არ დაივიწყონ, რომ კაცის საქმე არასოდეს სრული არ არის, რომ ყველაფერი თანდათან უმჯობესდება, რომ თვით ხელმწიფე იმპერატორმა საჭიროდ სცნო თანდათანი გაუმჯობესება სახელმწიფო სათათბიროსი და თვით დაიტოვა ზრუნვა ამ საქმისათვის, ამიტომ იგი არ დააყოვნებს და შესაფერ ბრძანებას მოახდენს, რადგანაც ცხოვრება, სახელმწიფოს კეთილდღეობა და თანამედროვე გარემოება მოითხოვს ამა თუ იმ ცვლილებას.

ვუცხადებ რა ამას ჩემთვის ძვირფას კავკასიას, ვიწვევ მცხოვრებთ მხნედ და რწმენით შეჰხვდნენ მომავალს და ჩემთან ერთად ეცადნენ ხალხის დამშვიდებას; განშორდნენ საიდუმლო სარევოლიუციო წრეების მოქმედებას, რადგან ამ წრეებმა დღეს ყოველივე ნიადაგი დაჰკარგეს; ნუ დაივიწყებენ, რომ მშვიდობიანი და წესიერი ცხოვრება შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც კანონს ასრულებენ, სხვისა ცხოვრებას აფასებენ და პატივსა სცემენ სხვის უფლებას და საკუთრებას. მრავალ-ტომიან კავკასიის მოღვაწეებს ვთხოვ იმოქმედონ ხალხზე, შთაგონებით და განმარტებით აუხსნან თავიანთ მოძმეებს მნიშვნელობა დიდ წყალობისა, რომელიც გვიბოძა ხელმწიფე იმპერატორმა, ურჩიონ მათ ნუღარ აჰყვებიან ბოროტ კაცებს და ნუ აუხვევენ მშვიდობიან და კანონიერ ცხოვრების გზას.

წმიდა ვალი ხალხის დამშვიდებისა ადევს ადგილობრივ პრესსას, რომელიც დღეს ესოდენ გაძლიერდა. პრესსას უნდა ახსოვდეს, რომ ყოველი იმისი კეთილი სიტყვა ათასჯერ მეტ ნაყოფს გამოიღებს, ვიდრე კეთილი სიტყვა კერძო კაცისა; აგრეთვე მეტი ზარალი მოაქვს ყოველ იმის ბოროტ სიტყვას. დიდია ამიტომ პასუხის მგებლობა ბეჭდვითი სიტყვის ორგანოების ხელმძღვანელთა, როგორც იმათი, ვინც არსებულ არეულობას აძლიერებს, ისე მათი, ვინც ხალხის დამშვიდებაზე თავს განზე იჭერს.

ვიწვევ ჩემდა დასახმარად აგრეთვე ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებას. ამ დაწესებულებებში, ეჭვი არ არის, საუკეთესო მოღვაწენი არიან ისინი, ვინც ამომრჩეველთა ნდობით არიან მოსილნი. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ნდობით ისინი არ ისარგებლებენ არეულობის გასაძლიერებლად, არამედ ეცდებიან ხალხის დამშვიდებას, დაწყნარებას წესიერ და ნაყოფიერ შრომისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად. ამ უკანასკნელისთვის-კი საჭირო არ არის დასახელებულ დაწესებულებებში მსჯელობა სახელმწიფოს მოწყობისა და იმის შეცვლის შესახებ, საჭიროა კეთილსინიდისიერად ასრულება ადგილობრივ მცხოვრებთათვის საყურადღებო საქმისა, რომელიც ამ დაწესებულებებს აბარია.

ამასთან ერთად უნდა განვაცხადო, რომ დღეიდან არსებობა საიდუმლო ორგანიზაციების, წრეების და ჯგუფებისა, განსაკუთრებით იმათი, რომელნიც სცდილობენ აწ არსებულ სახელმწიფოებრივ წყობილების მოსპობას, მოსათმენნი აღარ იქნებიან, და ისინი, ვინც ამ წრეებსა და ორგანიზაციებში მონაწილეობას იღებენ, უსათუოდ კანონიერ პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი. მივიღებ აგრეთვე ყოველსავე საშუალებას ყოველ გვარ თვითნებურ მოქმედების წინააღმდეგ, სულ ერთია, ვინც უნდა ჩაიდინოს ეს მოქმედება, და კერძო საკუთრების დასაცველად როგორც მემამულეთა, ისე სხვა მცხოვრებთა.

ნამესტნიკი მისის იმპერატორებით უდიდებულესობისა კავკასიაში და კავკასიის სამხედრო ოლქის ჯართა მთავარ-სარდალი, **გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.**

კიდევ აგრარულ საკითხის გამო

როგორც ვიცით, ბ-ნის გომართელის ცდამ გაპროლეტარების თეორიისა და „ჩამონაჭრების" პროგრამის ლოღიკურად შესაერთებლად უნაყოფოდ ჩაიარა. ვნახოთ ეხლა, რამდენად ახერხებს მათს დაკავშირებას გაზეთი „მოგზაური", რომელიც იმავ აგრარულ პროგრამას იცავს.

„მოგზაური-ს" აზრით, სოფლად მსხვილის კაპიტალისტურის წარმოების დამყარება და გლეხების [illegible], გაპროლეტარება აუცილებელიც არის და სასურველიც, რადგან უამისოდ მომავალ სოციალისტურ წყობილებისთვის შესაფერი მატერიალური და პსიხიური პირობები ვერ დამზადდება; ამიტომ „მოგზაური" აცხადებს, წვრილს საკუთრებას არასოდეს მსხვილ კაპიტალისტურ საკუთრების წინაშე [illegible] არ გაუწევთო, მაგრამ, ამ გაზეთის აზრით, მსხვილ კაპიტალისტურ წარმოების წარმოშობას აუცილებლად წინ უნდა უძღოდეს ფეოდალურ წყობილების ნაშთების მოსპობა, გლეხებსა და მემამულეთა შორის ბატონყმურ დამოკიდებულებათა გაუქმება, ესე იგი გადაქცევა გლეხების საკუთრებად ყველა იმ ნადელის, ჩამონაჭერის, ტყის და საბალახოსი, რომელიც ფეოდალურ ექსპლოატაციის საშუალებას შეადგენსო. („მოგზაური" № 32)

ამგვარად, გაზეთი „მოგზაური" გლეხის წვრილს მესაკუთრეობას და გაპროლეტარებას ისე უცქერის, როგორც ისტორიულ განვითარების ორს სხვა და სხვა საფეხურს; ფეოდალურ წესწყობილების შემდეგ უნდა დამყარდეს წვრილი მესაკუთრეობა და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა განვითარდეს ერთის მხრივ მსხვილი კაპიტალისტური წარმოება და მეორის მხრივ გლეხთა პროლეტარიზაცია. „ჩამონაჭრების" პროგრამის მიმდევრობა და გაპროლეტარების მოძღვრებით ხელმძღვანელობა წინააღმდეგობად მხოლოდ იმ შემთხვევაში გვეჩვენება, თუ ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ისტორიულ ხანაში გლეხების წვრილს მესაკუთრეებად გადაქცევასაც მოვითხოვთ და იმათ გაპროლეტარებასაც მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებისაგანო, ამბობენ მოგზაურელები და ამას უძახიან დიალექტიურ მეთოდის მიმდევრობას: „ერთი სიტყვით, ჰო—არა, არა—ჰო. აი როგორ ვმჯელობთ ჩვენ, დიალექტიურ მეთოდისა მიმდევარნიო". მოგზაურელები, პირიქით, ჩვენ გვიკიჟინებენ წინააღმდეგობას, დიალექტიური მეთოდი არ გესმით, ისტორიულ პირობებს არ ითვალისწინებთ, „მეტაფიზიკურად" აზროვნობთ და თავში წინააღმდეგობა გებადებათ, რომელსაც გაუგებრობით თვით ცხოვრებას აწერთ და ამ ცხოვრებასთან შეთანხმებულ პროგრამებში ჰხედავთო...

გაზეთი „ივერიაც" სწორედ ამ გვარადვე გვიმარტავს სოციალ-დემოკრატიის შეხედულებას აგრარიულ საკითხზე და დაასკვნის, რომ აქ წინააღმდეგობაც არის და არც არის წინააღმდეგობა იმისდა მიხედვით, მივაქცევთ თუ არა ყურადღებას „სუბიექტიურ მოტივსაო." სოციალდემოკრატიას აზრად წვრილის საკუთრების მოსარჩლეობა არა აქვს, მაგრამ ობიექტიურად ის გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მათს მიწათმფლობელობის გაფართოვებას მოითხოვს, რომ თავისუფალი გზა გაიკვალოს ეკონომიურ განვითარებისთვისო.

მოკლედ რომ ვსთქვათ, „მოგზაურელები“ პროლეტარიზაციის თეორიისა და „ჩამონაჭრების“ პროგრამის შუა წინააღმდეგობის მოსასპობად ისტორიულ პროცესში ჰხედავენ ხსნას; იმათის აზრით, ისტორია თითონ ჰქმნის წვრილ საკუთრებას და თითონვე ანადგურებს შემდეგ ამას; წინააღმდეგობა ნამდვილად თითონ ისტორიულ პროცესსის თვისებაა: ფეოდალურ ექსპლოატაციის გაუქმება ჰქმნის გლეხთა წვრილ მესაკუთრეობას, რომელსაც მსხვილი კაპიტალისტური წარმოება დაამხობს, ესე იგი უარჰყოფს შემდეგში.

აქ ჩვენ უადგილოდ მიგვაჩნია დიალექტიურ მეთოდის შესახებ კამათის გაბმა მოგზაურელებთან, ჩვენთვის სრულიად საკმარისია ვიცოდეთ, მართლა აუცილებელია წვრილის მესაკუთრეობის გამეფება ფეოდალიზმის შემდეგ სოფელში თუ არა. თუ აღმოჩნდა, რომ წვრილი მესაკუთრეობა ისტორიულად საჭირო არ არის, თუ აღმოჩნდა, რომ კაპიტალისტური წარმოება ან, უკეთ რომ ვსთქვათ, პროლეტარიზაცია შესაძლოა პირდაპირ მოხდეს ფეოდალიზმის გაუქმებასთან, მაშინ, ცხადია, ჩვენი მოგზაურელების ისტორიული თავშესაფარი დაინგრევა და ჩვენგან წინანდელს წერილში ნაჩვენები წინააღმდეგობა ისევ წინააღმდეგობად დარჩება.

როგორ ხდება ისტორიულად ფეოდალიზმის გადაქცევა კაპიტალისტურ წესწყობილებად, ამ საკითხით, სხვათა შორის, დაინტერესებული იყო მარქსი, რომელიც, როგორც „მოგზაურელებს“ ეცოდინებათ, სოციალ-დემოკრატიის საზარალოდ არასოდეს სასწორს ირსაიდ არა ჰხრიდა. მარქსი თავის მკაცრ სარკაზმის ობიექტად ხდის იმ გულუბრყვილო პირებს, რომელთა შეხედულებისაც კაპიტალისტურ წარმოების დამყარებას წინ უძღოდა ქონების დაზოგვა, სიმდიდრის მოგროვება და კაპიტალიზმის მომავალი რაინდების შორსმჭვრეტელობა. პროცესსი კაპიტალისტურ წარმოების დამყარებისა ჩვეულებრივ საამურ იდილიად ეჩვენებათ, მაგრამ საქმით კი, ამბობს მარქსი, ეს პროცესსი ძალმომრეობის საშინელს სურათს წარმოადგენს. „კაპიტალისტურის სისტემის ნიადაგი არის რადიკალური განკერძოვება მწარმოებლისა წარმოების იარაღებისაგან... მშრომელი, პირდაპირი მწარმოებელი რომ შეიქნეს თავის პიროვნების პატრონად (რაც აუცილებლად საჭიროა შრომის გასაყიდად, ურომლისოდაც კაპიტალიზმი ვერ დამყარდება), აუცილებლად ის ჯერ მიწას უნდა იქმნას მოშორებული ანუ განთავისუფლებულ უნდა იქმნას ფეოდალურ დამოკიდებულებისაგან... ისტორიული მოძრაობა, რომელიც გადაჰქმნის მწარმოებლებს დაქირავებულ მუშებად, წარმოადგენს მათს (ე. ი. მწარმოებლების) განთავისუფლებას მონობისა და ინდუსტრიალურ იერარქიისაგან. მეორე მხრივ, ეს განთავისუფლებულნი იმ დრომდე არა ჰხდებიან თავის თავის გამყიდველად, ვიდრე მათ სრულიად არ დაუკარგავენ საკუთარს წარმოების იარაღებს და არ მოუსპობენ არსებობის იმ გარანტიებს, რომელთაც შეიცავდა ცხოვრების ძველი წესი. ისტორია ამ ექსპროპრიაციისა არაფერს საეჭვოს არ წარმოადგენს: იგი კაცობრიობის მატიანეში სისხლისა და ცეცხლის ასოებით არის ჩაწერილი... დასაბამი იმ განვითარებისა, რომელიც ერთსა და იმავე დროს შეიცავს მოქირავნე მუშის და კაპიტალისტის წარმოდგომას, არის მშრომელის ხალხის მონობა; პროგრესსი მდგომარეობს იმაში, რომ იცვლება ფორმა მონობისა, მყარდება ნაცვლად წინანდელის ფეოდალურის ექსპლოატაციისა ექსპლოატაცია კაპიტალისტური“. (კაპიტალი, I ტომი, თავი 26 გვ. 314—315, ფრანგული გამოცემა).

მკითხველს უმორჩილესად ვთხოვთ შეუფარდოს მარქსის აზრები, განსაკუთრებით სიცხადით გამოთქმული ჩვენგან ხაზ-გასმულს სიტყვებში, მოგზაურელების მეცნიერულს აღმოჩენას, ვითომც ფეოდალურ ექსპლოატაციის გაუქმებასთან ერთად გლეხების საკუთრებად უნდა გახდეს თვით იარაღი ფეოდალურის ექსპლოატაციისა: „რადგანაც ნადელი, ჩამონაჭერი, ტყე და საბალახო ფეოდალურ ექსპლოატაციის საშუალებას შეადგენს, ამიტომ ჩვენი აგრარული პროგრამის თანახმად, ყოველივე ეს გლეხის საკუთრებად უნდა გახდესო“. ორში ერთი უნდა იყოს, ან ისტორიულ პროცესსის კვალობაზე უნდა გამოსჭრას სოციალ-დემოკრატიამ თავისი პროგრამმა ან სხვა რამ არა ისტორიულ საფუძველზე უნდა დაამყაროს იგი; თუ ისტორიის მიმდინარეობას უთანხმებს „მოგზაური“ თავის აგრარულ პროგრამას, აუცილებლად ხელი უნდა აიღოს ფეოდალურ ექსპლოატაციის საშუალებათა გლეხების საკუთრებად გადაქცევაზე, რადგან ფეოდალიზმის დამხობას ისტორიულად, მარქსიზმის მოძღვრებით, ერთად ერთი აზრი აქვს: შრომის თავისუფლად გამყიდავეთა რაზმის შექმნა. თუ ისტორიულ პროცესს გვერდს უქცევს და სამართლიანობის პრინციპზე ემყარება, ამ შემთხვევაში, ჯერ ერთი, პირდაპირ უნდა გამოაცხადოს ეს, და მეორე კიდევ ის, რომ როდესაც მათს პროგრამაში წინააღმდეგობას ჰხედავენ, თავის დასაცველად ისტორიას აღარ უნდა შეეკედლონ ხოლმე.

მოგზაურელებს ისტორიაც უნდათ და სამართლიანობაც. თავის ისტორიზმით სამართლიანობას აჭრიან ფრთებს და სამართლიანობით კი ზოგჯერ ისტორიას ამახინჯებენ, ზოგჯერ პირდაპირ სთხზავენ იმას; რეალურად კი ისეთს აგრარულ პროგრამმას მისდევენ, რომელსაც უფრო წვრილ-ბურჟუაზიული ხასიათი აქვს, ვიდრე სოციალისტური.

ფეოდალურ წესწყობილების იმგვარი ლიკვიდაცია, რომელიც ექსპლოატატორ ფეოდალებს ჩამოართმევს „ექსპლოატაციის საშუალებებს“ და გადასცემს საკუთრებად გლეხებს, როგორც მარქსის სიტყვებიდან დავინახეთ, უფრო გულუბრყვილო და უქმი ფანტაზიის ნაყოფია, ვიდრე ნამდვილის ცხოვრების კანონი. პროგრესსიული მარტო ამ მხრივ არის ფეოდალიზმის გაუქმება, მარქსის სიტყვით, რომ ფეოდალურ ექსპლოატაციის ადგილას სჩნდება „კაპიტალისტური ექსპლოატაცია და არა იმიტომ, რომ გლეხი სამუდამოდ ან დროებით ახწევდეს თავს ექსპლოატაციას. თუ მოგზაურელები ისტორიულ მიმდინარეობის დაჩქარებას ემსახურებიან, უეჭველია ლოღიკამ უნდა აიძულოს ისინი ეხლავე გლეხების გაპროლეტარება აღიარონ პროგრესსიულ მოვლენად და არა გლეხების წვრილ მესაკუთრეებად გადაქცევა, თუ, პირიქით, სამართლიანობის განხორციელება ჰსურთ, უშიშრად უნდა დაჰხვდნენ იმ საყვედურს, რომ ისინი წვრილ-ბურჟუაზიულ ინტერესებს ემსახურებიან და თავის პრაქტიკულის მოქმედებით ეწინააღმდეგებიან თავისავე თეორიას პროლეტარიზაციის შესახებ.

„ჩამონაჭრების“ პროგრამისა და გაპროლეტარების თეორიის შუა იმდენად ღრმა უფსკრულია, რომ აქ ჩვენს მოგზაურელებს ვერც დიალექტიური მეთოდი უშველის და ვერც არაფერი სხვა. შესაძლოა, მხოლოდ გარეგნობით დაფარონ ეს წინააღმდეგობა და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ უშიშრად და თავის გუნებაზე გადაამახინჯებენ მარქსიზმისაგან დოგმებად მიჩნეულს ისტორიულ განვითარების კანონებს; რა თქმა უნდა, ამ საშუალებით წინააღმდეგობა ნამდვილად სრულიადაც არ ისპობა, ის მხოლოდ ბუდეს იცვლის და წინანდელ ადგილის ნაცვლად სხვაგან იჩენს თავს. ჯერ წვრილი მესაკუთრე უნდა გახდეს გლეხი და შემდეგ გაპროლეტარდესო, აი, ამით უნდოდათ დაემალათ მოგზაურელებს წინააღმდეგობა. მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, თვით მარქსს ისე ესმის ისტორიული პროცესსი, რომ ფეოდალიზმის გაუქმებით მხოლოდ ექსპლოატაციის ფორმა უნდა შეიცვალოს, არა თუ ექსპლოატაცია მოისპოს და წვრილი მესაკუთრეობა დამყარდეს. ჩვენ გვგონია, რომ მოგზაურელები მარქსის კრიტიკას არ მოისურვებენ, იმის აზრებს ყალბად არ ჩასთვლიან და დიალექტიურ მეთოდის უცოდინარობით არ ახსნიან, ამიტომ საჭიროდ არ მიგვაჩნია სიტყვა გავაგრძელოთ იმის შესახებ, რომ ფეოდალიზმის დამხობას, მარქსიზმის თეორიით, ექსპლოატაციის გაუქმება არ უნდა მოჰყვეს. და თუ მაინცა და მაინც წვრილმა კერძო მოსაკუთრეობამ ფეხი მოიკიდა სადმე, ეს რეაქციონური მოვლენაა და არა პროგრესსიული. **გ. რ.**

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

31 აგვისტო

ნიუ-იორკი. ამერიკის ელჩი ტოკიოში ამბობს, რომ იაპონელები სრულიადაც არ უცქერიან მტრულად უცხოელთ და ქრისტიანთ. ამერიკის ეკკლესიასაც არავინ დაანგრევდა, ამერიკის დროშა რომ არ აღემართათ ზედ. მიუხედავად ამისა იაპონიის მთავრობა სამხედრო ძალით იცავს უცხოელთა სახლებს.

რომი. იაპონიის ელჩი რომში იტყობინება, რომ სიცრუედ სთვლის იმ ხმას, ვითომ გენერლები ნოგი და ნოძუ სამსახურიდან გამოდიან, ტყუილი უნდა იყოს ის ამბავიც, ვითომ კომურას თავი ამოეწყვიტოს ხალხსო.

ჯავშნიან გემის „მიკაზა“-ს დაღუპვის მიზეზი ჯერ არ იციან. ბევრი ფიქრობს, რომ ხალხის უკმაყოფილებამ გამოიწვია ეს ამბავიო.

1 სექტემბერი

პეტერბურგი. წინამძღოლთა კრება დაიწყო, სულ 18 კაცია. პრესსის წარმომადგენელთ არ მისცეს ნება კრებაზე დასწრებისა.

გაზეთების სიტყვით, უნდა დაარსდეს განსაკუთრებული კომიტეტი, რომელსაც დაევალება სახელმწიფო სათათბიროს დაწესებასთან შეკავშირებულ საკითხების განხილვა. კომიტეტის თავმჯდომარედ შინაგან საქმეთა მინისტრი იქნება, ხოლო წევრებად ყველა სამინისტროთა წარმომადგენელნი.

სექტემბრის პირველ ნახევარში დაიწყება სხდომები განსაკუთრებულის კომიტეტისა პრესსის შესახებ, რომელსაც კობეკო თავმჯდომარეობს. კომიტეტმა უნდა განიხილოს საკითხი პრესსის დანაშაულობათა და სასჯელთა შესახებ; აგრეთვე საკითხი არა რუსთა (პოლონელთა, ებრაელთა, ლატიშთა, სომეხთა და სხვათა) პრესსის შესახებ. კომიტეტმა თავისი მუშაობა ოქტომბრის ბოლოს უნდა დაამთავროს, ხოლო პროექტი სახელმწიფო სათათბიროს უნდა წარუდგინოს.

ნიუ-იორკი. კომურა უკეთესად შეიქნა, ექიმები წასვლის ნებას ჯერ არ აძლევენ.

განჯა. წარჩინებულ მაჰმადიანთა და სომეხთა კრებაზე გადაწყდა მოწვეულ იქმნას განჯაში კავკასიის სომეხთა და მაჰმადიანთა საერთო კრება, რომელსაც უნდა დაესწრონ კათოლიკოზი, შეიხ-ულ-ისლამი, მუფტები და მთავრობის წარმომადგენელნი. კრებაზე უნდა მოხდეს ამ მტრულ ერთა შერიგება.

პეტერბურგი. საბოლოოდ გადაწყდა საკითხი გზებისა და მრეწველობის სამინისტროს დაარსების შესახებ. ამ სამინისტროს უფროსად ასახელებენ ფინანსთა მინისტრის ამხანაგს ტიმირიაზევს.

ბაქოსა და ელისავეტპოლში დაარსებულ იქნება სამხედრო გუბერნატორისა და ადგილობრივ ჯარების უფროსის თანამდებობა.

შანხაი. პეკინში მოვიდა რუზველტის ქალი ალისა და მიღებულ იქნება დედოფლის მიერ.

ჩიფუ. იაპონიის მისიის წევრთა შორის დაჟინებით ამბობენ, იაპონიის ჯარებსა და ფლოტში არეულობამ იფეთქა, რადგანაც უკმაყოფილო არიან ზავის პირობებით. ზოგიერთ ქვეითს პოლკებში აჯანყების ნიშნებია.

ოისტერბეი. ფიქრობენ, რომ როზენსა და რუზველტს შორის სჯა-ბაასი იყო რუსეთისა და შეერთებულ შტატებს შორის ახალ სავაჭრო შეთანხმების ჩამოგდების შესახებ.

მილანი, 1 სექტემბერი. კოზენციდან მოსული ოფიციალური დეპეშა იუწყება, რომ გუშინ დილით ხელახლა გაისმა ქვესკნელში გრგვინვა. შიში იზრდება. ცეცხლ-მქშინავი სტრომბოლი განაგრძობს გრგვინვას. ეშინიათ ახალის უბედურობისა.

ნიუ-იორკი. იაპონიის დელეგატებმა გადასდეს წასვლა კომურას ავადმყოფობის გამო. კანეკო სარგებლობს აქ ყოფნით, რათა შეიმუშაოს საგზაო კავშირის პროექტი იაპონიასა და ამერიკის შორის ჩინეთის ბაზრის გასახსნელად.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

1 სექტემბერი

მოსკოვი, 31 აგვისტო. პროფესორთა კრებამ ქალების პეტიცია განიხილა და დაადგინა, რომ ქალებს უფლებს სახელმწიფო სასწავლებლებში შესვლის გარდა, სასწავლებლო მოქმედებისა და სამეცნიერო ხარისხის მიღებ უფლებაც მიეცეს.

საერთო საერობო ორგანიზაციამ დაადგინა ს- ერობო რაზმების საავადმყოფოთა მოქმედება შესწყვიტონ და შიმშილობის შედეგთან ბრძოლა მოაწყონ. საერობო ორგანიზაციის ანგარიშით გაჭირვებულთა საზოგადო რიცხვი აგს 18 მილიონ სულამდე, რომელთაგან მეოთხედს გ ბა დასჭირდება. კრებამ დაადგინა საერთო ორ- განიზაციამ დაუშვეროს დახმარების საქმ წითელ ჯვრის ბაირაღ ქვეშ იმოქმედ და მოქმედების დამოუკიდებლობის უფლებ მიიღოს.

ტოკიო, 31 აგვისტო. უწესოების დრო დაიჭრა 388 პოლიციელი, 16 ცეცხლის მქრ ბელი და 2 სალდათი. ხალხის მხრიდან გარ შე საზოგადოებიდან 9 მოკლულია და 38 დაჭრილია. ოსაკას, ნაგოიას და სხვა ადგი ლებში ჯარი აირია. იოკოჰამაში, საპროტესტ კრების შემდეგ, ხალხმა დასწვა და დაანგრ 14 საპოლიციო ნაწილის შენობა, პოლიციე ზედამხედველებსა და 36 სალდათს სცემა. ს კონსულოებსა და უცხოელთა სახლებს პოლიც იცავს.

„მიკაზა“-ს აფეთქება საეჭვო გარემოებ პირობებში მოხდა. გაუგებარია, რატომ მე ღვაურებმა გემი არ მიატოვეს, თუმცა ამის ვის საკმაო დრო ჰქონდათ, რადგან გემი რა დენსამე საათს იწვოდა. უკანასკნელ ცნობები 16 ოფიცერი და 256 მატროსი დაიხრჩო, 1 ოფიცერი და 343 მატროსი დაიჭრა. ადმირა ტოგო გემზე არა ყოფილა.

შანხაი, 31 აგვისტო. ხმა დადის, „მიკა ზა“ აჯანყებულმა მეზღვაურებმა ააფეთქეს ჩასძირესო.

მუკდენი, 31 აგვისტო. რუსეთისა და პონიის რწმუნებულნი დროებით ზავის ხამ გდების დანიშნულნი, გენერლები ორანოვსკი ფუკუშიმა დღეს, დილის 10 საათზე შეხვდ ერთმანერთს სადგურ შახეზეზე, ხანტუფ 10 მილზე, ჩრდილოეთით. სანამ დროებით რიგების პირობებს დაწვრილებით შეიმუშავებ რამდენიმე დღე გავა.

1 სექტემბერი.

პეტერბურგი. „სლოვო“-ს სიტყვით, სახელმწიფო სათათბიროს სესიები ყოველ წ 7 თვეს გასტანს. 31 აგვისტოს გაიხსნა ბერნიის თავად-აზნაურთა სიეზდი ამ საკით ბზე მოსალაპარაკებლად, რომელნიც სათათ როში წარმომადგენლების არჩევნების ხელმძ ნელობას შეეხება. სიეზდი ხალხის დაუს ბლად სწარმოებს. გაზეთების თანამშრომ არ შეუშვეს.

კავკასი, 31 აგვისტო. ღამით, ლოდ გის რაზიეზდთან, ბოროტ-განმზრახველთ ნდაგიდან გადასხეხეს ფოსტის მატარებელი. იმტვრა 6 ვაგონი, მოკვდა ერთი მგზავრი, მძიმედ დაიჭრა, 20—მსუბუქად. მატარებ გადაგდების შემდეგ, ბოროტ-განმზრახველ როგორც დამსწრე ამბობს, რიცხვით ოცი ტყვიები დაუშინეს მატარებლისთვის, მა მატარებლის მხლებელ დამცველებს მოუკ ბიათ ისინი.

ბელოსტოკი. ბელოსტოკში 453 მა მადიდებელმა მიიღო კათოლიკობა სინდის თავისუფლების გამოცხადების დღიდან.

ფელეტონი

საერთაშორისო საუბრიდან

შვეიცარიის ერთ პატარა პანსიონში—სასტუმროში, სადაც სტუმარს აძლევენ ბინას და საჭმელ-სასმელს—მოულოდნელად, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე ამ ზოგით დროს ევროპაში და განსაკუთრებით-კი შვეიცარიაში, თავი მოიყარა თორმეტიოდე კაცმა, სხვა და სხვა ერის წარმომადგენელმა. იქ იყო ორი გერმანელი, ერთი ინგლისელი, ფრანგი, ორი ამერიკელი, ერთი იტალიელი, ბელგიელი, რუმანელი, კუნძულ კუბიდან მოსული ესპანელი და თქვენი უმორჩილესი მონა, ამ სტრიქონების დამწერი. ჩემი მეზობლები განათლებული, ნაკითხი ხალხი იყო. ზოგი თვალსაჩინო როლს თამაშობდა თავის სამშობლოს პოლიტიკას, პრესსასა და ლიტერატურაში. ყველანი თავისუფლად ლაპარაკობდნენ ფრანგულს ენაზე, ყველას ჭკუა და გამოცდილება ეტყობოდა როგორც თავის სპეციალურ საგანში, ისე საზოგადო საკითხებსა და თანამედროვე პოლიტიკაში. ხშირად ვიკრიბებოდით და საღამოებს ტკბილ საუბარში ვატარებდით. ბევრი ჭკვიანური აზრი და გამოცდილი მოსაზრება გავიგონე ამ საუბრების დროს, ამიტომ მეტი არ იქნება, ცოტა რამ მკითხველსაც გავუზიაროთ.

I

ლაპარაკი სკანდინავიაზე ჩამოვარდა. შეეხნენ ნორვეგიის ჩამოშორებას შვეციისაგან.

— ნორვეგიამ,—დაიწყო ერთმა გერმანელმა,—დიდი პოლიტიკური შეცდომა ჩაიდინა. პატარა ერებს უფლება არა აქვთ ჩამოშორდნენ სხვებს და განცალკევებული ცხოვრება მოაწყონ. პოლიტიკა და სოციალიზმი ჰქმნის დიდ და ცენტრალიზმით შედუღებულ სახელმწიფოებს. ამისი დამამტკიცებელია უკანასკნელ საუკუნის ისტორია. ნორვეგია ბევრს დაჰკარგავს და, ადრე თუ გვიან, სინანულს მიეცემა.

— განვლილ საუკუნის ისტორია,—დაიწყო ახალ ამერიკელმა,—სულ წინააღმდეგს გვასწავლის. სწორედ მეცხრამეტე საუკუნემ შექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოები: საბერძნეთი, რუმინია, ბელგია, სერბია, ბოლგარია, პერუ, ჩილი და სხვა რესპუბლიკები სამხრეთ ამერიკისა. ამათ უნდა მიუმატოთ ინგლისის ახალშენები, რომელთაც თავისებური, დამოუკიდებელი ცხოვრება მოაწყვეს. კანადა, ახალი ზელანდია, ავსტრალია—დამოუკიდებელი, თვითმმართველი სახელმწიფოებია. ერთი მიბრძანეთ, თუ კი სერბიის და ბოლგარიის შეუძლიათ დამოუკიდებელი ცხოვრება, რატომ განათლებულს, კულტურულს, ინდუსტრიით განვითარებულ ნორვეგიას კი აღარ შეუძლიან? რათა გგონიათ, რომ ნორვეგიამ თავისუფლების მოპოვებით პოლიტიკური შეცდომა ჩაიდინა? თუ ვცნობთ ნახევრად განათლებულ სახელმწიფოთა, სამთავროთა და რესპუბლიკათა პოლიტიკურ თავისუფლებას, თუ ამათ დამოუკიდებელ ცხოვრების უფლება აქვთ, ასეთი უფლება უნდა ჰქონდეს ნორვეგიასაც.

— ჩემის აზრით, ყველა ერს უფლება აქვს თვით-გამორკვევისა.—მიუგო გერმანელმა,—მაგრამ ამაზე შემდეგ. ეხლა შევეხები აღძრულ საგანს. სერბია, ბოლგარია და სხვა პატარა სახელმწიფოები მიიღეთ და დაივიწყეთ გაერთიანება გერმანიისა და იტალიისა. დაივიწყეთ, როგორ გაჩნდა თქვენი დიდი სამშობლო (ამერიკის შეერთებული შტატები) 80 მილიონ მცხოვრებით. გამოტყდით, რომ თვითეული ეს სახელმწიფო ბევრად უფრო საყურადღებოა და საინტერესოა, ვიდრე პატარა ერები, ერთად აღებული. დაუმატეთ ამას ინგლისის იმპერიალიზმი...

— მე, ამერიკელი, გერმანიისა და იტალიის შესახებ ვერას ვიტყვი აქ, სადაც თქვენა ხართ, ამ ქვეყნების წარმომადგენელნი. არ შევეხები აგრეთვე ჩემბერლენის და ინგლისის კონსერვატორთა იმპერიალიზმს—ამას, ეჭვი არ არის, მისტერ ჯონი გაგვიცნობს. მაგრამ რაც შეეხება შეერთებულ შტატებს, ჩემს სამშობლოს... ერთი ამიხსენით, საიდან გამოიჩხრიკეთ, რომ შტატებში ცენტრალიზმია გაბატონებული? ჩვენი სახელმწიფო შექმნა და გააძლიერა ძველ ინგლისის ცამეტმა პროვინციამ, რომელთაც თავიანთი თავი სახელმწიფოებად გამოაცხადეს, და ეხლა ჩვენსა 42 ასეთი სახელმწიფოა, დამოუკიდებელი, ახლად შემქნილი გაუვალ და თვალგადაუწვდენელ უდაბნოებში. თვითეულ შტატს აქვს საკუთარი კანონმდებლობა, საკუთარი სასამართლო და ადმინისტრაცია. საზოგადოდ, მთელი ადგილობრივი წყობილება სავსებით დამოკიდებულია შტატის მცხოვრებთაგან. რომელ ცენტრალიზმსა და ერთიანობაზე მელაპარაკებით, როდესაც კანონმდებლობაც-კი საკუთრებასა და ქორწინებაზე სხვა და სხვანაირია სხვა და სხვა შტატში. აი, თუ გნებავთ, მაგალითიც: კოლორადოს, აიდაჰოს, უტახს და ვიომინგის შტატებში ქალებს საარჩევნო უფლებები აქვთ, აქ ქალები გუბერნატორებადაც აურჩევიათ. ძველ შტატებში კი ასეთი უფლება ქალებს არა აქვთ. ცენტრალიზმი კი არა, სრული ავტონომიაა გაბატონებული ჩემს სამშობლოში. განუსაზღვრელი, შეუზღუდავი სხვა და სხვაობა, დამოუკიდებლობა, ინიციატივა კერძო პირთა, კომუნებისა და შტატებისა, ჩვენ ვამაყობთ ამით, უფრთხილდებით ამ დამოუკიდებლობას, როგორც ძვირფასს განძს. ჩვენის აზრით, ეს თვისებები მიგვაჩნია დიდ რესპუბლიკის მსწრაფელ განვითარების, წარმატების და გაძლიერების წყაროებად. თვითგამორკვევა-კი არა, დამოუკიდებლობას, ავტონომიას ვაძლევთ ყოველ ახლად აღორძინებულ შტატს და უფრო თანასწორ და ძმურ საფედერაციო კავშირს. ფედერალიზმი ცენტრალიზმი არ არის და არც ავტონომიაა ბუნებაში გახვეული თვითგამორკვევა.

— Abmiraleb!—შეჰყვირა ფრანგმა.—თქვენ თქვენს ამერიკაში, ამ ახალ ქვეყანაში, განახორციელეთ ის, რაც დიდ რევოლიუციის დროს ჩვენმა მამებმა აღიარეს ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში, დიდებულ პრინციპებისათვის ხორცი შეასხით. რაც დიდებულია,—მარტივია და ადვილი გასაგებიც არის თვით უბრალო ხალხისთვისაც-კი. მაგრამ ერთი ამიხსენით, რა ტერმინია ეს ერთგვარი თვითგამორკვევა? არ მესმის... რაღაც ბუნდოვანია. თუ ერი არსებობს, აშკარაა, მას ჰქონია თავისი, ენა თავისი ზნე-ჩვეულებანი, სიმღერები, გადმოცემები, ტანისამოსი და სხვა, ერთის სიტყვით, ყველა ის, რითაც ერთი ერი მეორისაგან განირჩევა. ამგვარად ბუნებრივ ისტორიულ-ეტნოგრაფიულ განვითარების პროცესს უკვე მოუხდენია თვითგამორკვევა, მაშასადამე, ეს სიტყვა პოლიტიკური ტერმინი არ არის. იგი არაფერს არ გამოხატავს. ჩვენ, ფრანგები, მივეჩვიენით სწორ ტერმინებსა და გამოთქმას. თუ ერს უფლება აქვს განაგოს თავისი საქმეები, ამისთვის არსებობს ნამდვილი ტერმინი—ავტონომია. თვითგამორკვევა? ეს ხომ ბუნებრივი პროცესია, რომელიც ვერ შეაჩერეს ვერც ჩინგისხანებმა და მონგოლებმა, ვერც თემურლენგებმა და მტარვალებმა... არც ერთი დაჩაგრული ერი არა თხოულობს თვითგამორკვევის უფლებას. ამ პროცესს იგი ასრულებს შეუჩერებლად, მუდამ ჟამს, მონობაშიც-კი. დაჩაგრულნი თხოულობენ თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, ე. ი. თავის საზოგადოებრივ საქმეების მოწყობის უფლებას, როგორც შტატები ამერიკაში და კანტონები შვეიცარიაში. ესენი თხოულობენ ამ უფლებას, მაგრამ ამავე დროს ნებაყოფლობით აწყობენ თანასწორ პროვინციებისა და ერებისაგან შემდგარ საფედერაციო კავშირში. მხოლოდ მონების დაძახება შეუძლიათ ბუნდოვან, გაუგებარ „თვითგამორკვევით“. მიკიბ-მოკიბვას თავი დავანებოთ და პირდაპირ ვთქვათ, რომ ყოველ კაცს, ყოველ ჯგუფს კაცებისას და მით უმეტეს ყოველ ერს უფლება აქვს თავის სურვილისამებრ განაგოს თავისი კერძო და საზოგადოებრივი საქმეები. აბა გაისარჯეთ და თვალი გადაავლეთ ავტონომიურ ფედერალისტურ სახელმწიფოებს—შვეიცარიას, ამერიკის შტატებს, ავსტრალიას, ახალ ზელანდიას. ეს სახელმწიფონი გუშინ გაჩნდნენ და დღეს კულტურულის განვითარებით უკვე გაუსწრეს ევროპას? რატომ?

— ადვილი გასაგებია, რატომ!—სთქვა ამერიკელმა.—თქვენს ევროპაში თეორეტიულად სწყვეტავენ საკითხებს, ჩვენ-კი პრაქტიკულად გადაწყვეტილებთ. მაგრამ ჩვენ გადაუხვევთ საგანს. ჩემის აზრით, ჩვენი პატივცემული და სწავლული გერმანელი მეგობარი ერთმანეთშ ურევს მრავალ-მილიონიან მცხოვრებთა კულტურ და ბუნებრივ გაერთიანებას და ადმინის ტიულ მექანიკურ გაერთიანებას. კულტურა, ნათესაობა აერთიანებს არა მარტო გერმ სხვა და სხვა პროვინციისა და იტალიის, [illegible] მთელ კაცობრიობას, ყველა ერის ჩემი სამშობლოს მცხოვრებნი სხვა და ერებისაგან შესდგებიან. არც სახელმწიფო არც შტატები არ ავიწროვებენ გადმოსახ ბულთ. ისინი სადაც უნდათ, იქ სახლდებიან, როგორც უნდათ, ისე ლაპარაკობენ. ორი ბის შემდეგ ყველანი ამერიკელებად ხდებიან. მხედველობაში იქონიეთ: ინგლი ბად კი არა—იანკებად, ესე იგი მე-19 ნის განათლებულ დემოკრატებად, რომელ გისაც ადამიანის უფლებათა დეკლარაცია დათა-წმინდაა, ისევე, როგორც თანამე კულტურა და მეცნიერება. ეს შეერთებ რესპუბლიკა გზაზე არ უნდა აურიოთ ბისმარკ შეერთებასთან, პოლონელთა, დანიელთ სხვათა დევნასთან. კულტურული გაერთიანე პროგრესსიული მოვლენაა, ხოლო სახელმწ გებრივი—რეაქციონური. ეს უკანასკნელი გვიანდელია წარსულმა ბარბაროსულმა დრო და იმის განმტკიცებას ხელი შეუწყო მილი მმა. ახალი ქვეყნები და პროგრესსიული კრატია უარს ჰყოფენ მას. იგი ხვედრია რჩენილ და რეაქციონერ პარტიებისა...

— რეაქციონურ პარტიებისა?—შეეკით გე გერმანელი,—ხომ იცით, რომ გერ ყველაზე მოწინავე პარტია სოციალ-დე ტიაა. ეს პარტია ამავე დროს ცენტრალ მომხრეა და ფედერალიზმის წინააღმდეგ

— ასე რომ თქვენ და თქვენი პარტ სა ჭკუით ამ საუცხოო ფედერატიულ რიას? უარსა ჰყოფთ ჩემ დიდებულ ფედ ულ სამშობლოს—რესპუბლიკას, უარსა აგრეთვე ავსტრალიას, კანადას? საინტ გიცნდეთ, ცხოვრების რომელ ფაქტებზე უარყოფილი თქვენი უარ-ჰყოფა? ჩვენი მიური და ფედერატიული რესპუბლიკ უვლების და წარმატების გზას ადგანან

ᲕᲘ. პოლიციამ აღმოაჩინა იარაღის საწყობი. წაიღეს ბევრი საგანგებოდ ...ლი რევოლვერი.

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ. „ბელგრადსკი-ნოვინი“-ს ცნობით, ლონდონიდან, მთავრობის იქაურ წრეებში ოფიციური ხმა-ბაზი აქვთ იმის შესახებ, რომ, მეფე პეტრეს წინადადებით, ჩერნოგორიის მთავარი მირკო დიდის სახელმწიფოს მიერ დანიშნება ძველის სერბიისა და მაკედონიის ობერ-კომისრად.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, 1 სექტემბერი. ღამით ქალაქ გარედ ყაჩაღებმა მძიმედ დასჭრეს ქალაქის გამგეობის კასსირი გიორგი გუძი და სასიკვდილოდ მისი შვილი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

◆ 1 სექტემბერს ტფილისში **საყოველთაო გაფიცვა იყო.** ქალაქში თითქოს ცხოვრება შეჩერდაო: დაიკეტა მაღაზიები, დუქნები, სხვა სავაჭროები, რესტორანები, ბანკები, ქარხნები, სახელოსნოები. არ მუშაობდა ტრამვაი და ფუნიკულერი. დილის 9 საათზე მუშაობაზე ხელი აიღეს რკინის გზის სახელოსნოების მუშებმაც.

◆ 1 სექტემბერს სამტრედიაში **გაიფიცნენ დეპოს მომუშავენი:** მეისრეები, მემანქანენი და მოხელენი.

◆ 1 სექტემბერს, როგორც ქიათურიდან გვატყობინებენ, **საყოველთაო გაფიცვა მოხდა.**

◆ 2 სექტემბერს, რკინის გზის იმ სადგურებზე, სადაც 1 სექტემბერს **გაფიცვა მოხდა**, დილის 5 საათიდან ჩვეულებრივი მუშაობა დაიწყო.

◆ ამას წინად, როგორც ვწერდით, ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ ბ-ნს პ. გოთუას მიანდო **სახალხო სკოლების პროგრამის შედგენა.** ბ-ნმა გოთუამ მიიწვია ბ-ნნი ი. ს. გოგებაშვილი, ლ. ბოცვაძე, ი. გომელაური, პ. სურგულაძე, ს. ხუნდაძე და ბ. რაზიკაშვილი. კომისიის დადგენილებით დამთავრებულის ტიპის სახალხო სკოლები უნდა იყოს ერთ კლასიანი 4 წლის კურსით, ხოლო ორ-კლასიანი 6 წლის კურსით. საგნები სკოლებში ქართულს ენაზედ უნდა ისწავლებოდეს. რუსულს ენას, როგორც საგანს, ასწავლიან მესამე წლიდან. პროგრამაში შეტანილ იქნება შემდეგი საგნები: ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, პრაქტიკული გეომეტრია, ქიმია, ხატვა, პოლიტიკური ეკონომია, ბუნების მეტყველება და სხვა. დაწვრილებით თვითეულ საგნის შესახებ პროგრამის შემუშავება მიენდო შემდეგ პირთ: არითმეტიკისა და გეომეტრიისა—ი. გომელაურს, რუსულ და ქართულ ენებისა და ხატვისა—ლ. ბოცვაძეს, ისტორიისა—ს. ხუნდაძეს, პოლიტიკურ ეკონომიისა და სჯულ-დებისა—ბ-ნ გოთუასა და ნ. ელიავას, ბუნების მეტყველებისა, გეოგრაფიისა, ფიზიკისა და ისტორიისა—პ. სურგულაძესა და ს. იაშვილს, ხოლო ხელსაქმისა—ა. თუმანიშვილ წერეთლისას. კომისია მთელს მასალას სასწავლო გეგმისას თავს მოუყრის და თავმჯდომარეს ბ-ნ გოთუას ხელით წარუდგენს საზოგადოების მომავალს საზოგადო კრებას.

◆ ნამესტნიკის ბრძანებით **ქუთაისში ადმინისტრაციის დასახმარებლად გაიგზავნა ორი ბატალიონი** ნავაგინის პოლკისა, სამი ბატალიონი კურინსკის პოლკისა და თერგის ყაზახთა პირველი ბატარეა. ნამესტნიკისავე ბრძანებით ქუთაისიდან ოზურგეთში გაიგზავნა კურინსკის პოლკის ერთი ბატალიონი.

◆ გარდაცვლილ გენ. თავ. ამილახვრის ნაცვლად **გორისა და დუშეთის მაზრების დასამშვიდებლად დაინიშნა** პოლკოვნიკი ალფტანი.

◆ **„საქართველოს საექსარხოსოს უწყებების“** გამოსაცემად არჩეულ იქნა განსაკუთრებული სარედაქციო კომისია მღ. ცინცაძის მეთაურობით.

◆ 1 სექტემბერს მოხდა ტფილისის საბჭოს ხმოსანთა ერთი ნაწილის **კერძო სხდომა.** სხდომის საგანი 29 აგვისტოს უბედურება და სამსახურიდან გადადგომა იყო. პირველ სექტემბრის სხდომაზე კომისიის მიერ შემუშავებულ დასაბუთებულ განცხადებას ხელი მოაწერა 19 ხმოსანმა, დანარჩენნი დარბაზიდან წავიდნენ. გუშინ, როგორც იქნა, ყველა დასთანხმდა ხელის მოწერას. კოლექტიური განცხადება სამსახურიდან გადადგომის შესახებ **წარედგინება** დროებით გამგეობას. ხმოსნებმა გენ. სარაჯიშვილმა, ბებუთოვმა, ლუნკევიჩმა, ოსტროგორსკიმ და ინჟინერმა გრიქუროვმა ცალ-ცალკე შეიტანეს განცხადებანი თავის დანებებისა.

◆ ტფილისის ქალაქის მოურავის დროებითი მოადგილე თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი **გუშინ დაიბარა კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწემ** ნ. ს. სულთან-კრიმ-გირეიმ.

◆ 30 აგვისტოს ბათუმში, ნაშუადღევის 1 საათზე, შიგ შუა ქალაქში ხანჯლით **მოჰკლეს სამსახურს გარეშე მყოფი შტაბს-კაპიტანი, კერძო ვექილი მამედ-ბეგ ქიარიმ სულთან კენგერლინსკი.** კენგერლინსკი ამავე დღეს მისულა ერევნიდან ბათუმში, თან ჰყოლია 12 წლის ძმისწული და იმასთან ერთად საზღვარ გარედ აპირებდა თურმე წასვლას. 12 საათზე კენგერლინსკი მესაჟერი-მარიტიმის სააგენტოში შესულა და როდესაც აქედან სასტუმროში დაბრუნებულა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე დასცემია ვიღაც კაცი და ხუთგან სასიკვდილოდ დაუჭრია. დაჭრილი იქვე მომკვდარა. იქვე ყოფილა პატარა ძმისწული, რომლის ტირილსა და ყვირილზე შეგროვილა ხალხი და გამოსდევნებია მკვლელს. ეს უკანასკნელი ადამიანის სახლში შევარდნილა, მაგრამ დაუჭერიათ. იგი აღმოჩნდა ტომით სომეხი პოღოს არაქელის ძე არაქელიანცი. კენგერლინსკი ერევნელი იყო და მთელ გუბერნიაში მაჰმადიანთა შორის დიდი გავლენა ჰქონდა. ამბობენ, მკვლელობა შურის-ძიებით მოხდაო. შესაძლებელია ამ მკვლელობამ უმნიშვნელოდ არ ჩაიაროს და ძლიერ დაწყნარებულ ერევნის გუბერნიაში ხელ-ახლა ასტყდეს ჟლეტა-ხოცვა თათრებსა და სომხებს შორის („ჩერ. ვესტ.“).

◆ **ბაქოში წესიერების დასამყარებლად,** როგორც „კასპ.“ გადმოგვცემს, ადგილობრივ ადმინისტრაციას გადაუწყვეტია, დაითხოვოს ბაქოსა და ბაქოს მაზრიდან ყველა არა მკვიდრი მაჰმადიანი და სომეხი და მოვალედ გახადოს მრეწველნი, ერთი კვირის განმავლობაში უსათუოდ განაახლონ მუშაობა.

◆ **ბაქოდან მუშები იხიზნებიან.** მარტო ორ დღეს სპარსეთში წასულა 1000 კაცი, სპარსეთის ქვეშევრდომი, ხოლო შიდა რუსეთში—1200 რუსი მუშა.

◆ გუშინ, 2 სექტემბერს, ტფილისში ხმა გავრცელდა, რომ **ბაქოში მაჰმადიანებსა და თათრებს შორის ხელ-ახლა ასტყდა სროლა და დაიწყო ჟლეტა-ხოცვაო.**

◆ **ავაზაკურად მოკლული მასწავლებელი მღრაძე** მარელისის სადგურის მახლობლად, 30 აგვისტოს, დაასაფლავეს. დიდ-ძალი ხალხი შეიკრიბა; მიცვალებულის კუბო მრავალის გვირგვინით შეამკეს. ბევრი სიტყვა იქნა წარმოთქმული. დამსწრეთა რიცხვი 4000-ს აღემატებოდა.

◆ 1 სექტემბერს ქიათურაში, როდესაც ახლად მოსულ მატარებლიდან გადმოდიოდა შორაპნის მაზრის სოფელ ჰალის მცხოვრები ნესტორ აბაშიძე, ვიღაცამ რევოლვერი ესროლა და იქვე **მოჰკლა.** მკვლელი დაიმალა.

◆ 1 სექტემბერს **ჩამოვიდა ტფილისში ახალი გუბერნატორი** ბარონ რაუშ ფონ-ტრაუბენბერგი.

◆ როგორც უკვე ვწერდით, სასინოდო კანტორაში **დიდძალი ფული აღარ სჩანს.** ხაზინადარი არდაზიანი ამ ჟამად ავად არის. სარევიზიო კომისიის ანგარიშით, გაფლანგულია 150,000 მანეთი. აზრად აქვთ არდაზიანი პასუხის გებაში მისცენ. (კავ.).

◆ როგორც „კავკაზ“-ი გადმოგვცემს, **ტფილისის პოლიცმეისტერად ნამყოფი კოვალევი** დაინიშნა ერევნის ვიცე-გუბერნატორად, ხოლო დროებით ერევნისავე ვიცე-გუბერნატორად გაგზავნილი თავ. ჯანდიერი—სოხუმის ოლქის უფროსად.

◆ როგორც „ივ.-ს“ ატყობინებენ, **სოფ. დირბში მოუკლავთ ადგილობრივი მცხოვრები ესტატე გაბაშვილი.**

◆ გორში 26 აგვისტოს დააპატიმრეს რამდენიმე აგიტატორი. ამის გამო ქალაქში **საყოველთაო გაფიცვა გაიმართა.** (კავ.).

◆ **ქუთაისის პოლიცმეისტერად დაინიშნა** გუბერნატორის კანცელარიის მმართველი კაპიტანი კლიმენტოვი.

◆ 30 აგვისტოს, ღამის 12 საათზე, საჯავახოს სადგურზე, **სამი კაცი დაეცა ჟანდარმის ვახმისტრს** და რევოლვერი წაართვეს. თავდამსხმელნი ვერ დაიჭირეს.

◆ **ფოთში, როდესაც ქალაქის საბჭო** სამ წარმომადგენელს ირჩევდა, ადგილობრივი მუშები და ნოქრები წინააღმდეგნი გახდნენ, რადგან, იმათის აზრით, არჩევანი საბჭოს-კი არ უნდა მოეხდინა, ქალაქის მცხოვრებთ. მიუხედავად ამისა არჩევანი მოხდა. აირჩიეს: ვაჭრები ლოლუა და ტუგუში და გლეხი ალექსანდრე ვასაძე.

◆ საქირალზე (ოზურგეთის მაზრა) **ოთხი შეიარაღებული კაცი დაეცა ორ სტრაჟნიკს**, რომელთაც სროლა დაუწყეს. ერთი სტრაჟნიკთაგანი, სახელდობრ მარკოზ ლაითაძე, და იმისი ცხენი მძიმედ დაიჭრნენ.

◆ 1 სექტემბერს ტფილისიდან, **საყოველთაო გაფიცვის დროს,** ძლივს გავიდა რამდენიმე სახალხო მატარებელი.

◆ სად. გრაკალი. 31 აგვისტოს, სიღამოს 6 საათზე, სად. გრაკალში ვიღამაც რევოლვერით **თავში დასჭრა** რკინის გზის ჟანდარმი იურჩენკო. მსროლელი მიიმალა, დაჭრილი კი ტფ. რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ 30 აგვისტოს კავკავის გზის ბესლანის სადგურის მახლობლად **შეიარაღებული ინგუშები დასცემიან მიმავალ სახალხო მატარებელს.** ინგუშებს ლიანდაგი გაუფუჭებიათ და მატარებელი შეუჩერებიათ. მატარებელში ყოფილა სამი სტრაჟნიკი. ამათ და თავდამსხმელთა შორის ატყდარა სროლა, რომლის დროსაც მომკვდარა ერთი მგზავრი და ერთი ინგუში. ამას გარდა 30 მგზავრამდე დაჭრილა. თავდამსხმელთ ვერაფერი წაუღიათ.

◆ როგორც სომხურ გაზეთ „არშალუისს“ გაუგია, **კავკასიაში შიდა რუსეთიდან 60,000 სალდათი იგზავნება თურმე.**

◆ ზოლოჯარაზე გავლის დროს **სპარსეთის შაჰს**, როგორც „კასპი“ გადმოგვცემს, არ მიუღია ბაქოელ სომეხთა და სამღვდელოების დეპუტაცია.

◆ ტფილისის მაზრის სოფელ ერთისის გლეხებს, როგორც ისინი აცხადებენ, არ **მოეპოვებათ არავითარი სახნავ-სათესი ადგილები** და ამით დიდ გაჭირვებაში ყოფილან ჩავარდნილნი. თურმე კარგა ხანია ეხვეწებიან მთავრობას, იჯარით მაინც მოგვეცით ადგილებიო.

◆ ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა მარშლის თავმჯდომარეობით 2 სექტემბერს მოხდა პირველი **სამაზრო კრება საერობო დაწესებულებათა** შემოღების შესახებ მოსალაპარაკებლად. კრებამ წაიკითხა 1864 წლის საერობო დებულება რუსულად, ქართულად და თათრულად და მეორე დღისათვის გადასდო მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორი საერობო თვით-მმართველობაა საჭირო ჩვენთვის.

◆ ბორჩალოს მაზრის სოფლის საზოგადოებათა და მემამულეთა **წარმომადგენლების არჩევანი** სამაზრო საბჭოში დასრულდა 29 აგვისტოს. სამაზრო საბჭოს სხდომები დაიწყება 9 სექტემბერს.

◆ 28 აგვისტოს ბათუმში, როგორც ადგილობრივი გაზეთი გადმოგვცემს, მიტაიშვილს მოუკლავს „კავკ. ნომრების“ პატრონი ერისტო გოგელია. მიტაიშვილსა და გოგელიას სასტუმრო ერთად ჰქონიათ, ამ ნიადაგზე მოსვლიათ ჩხუბი, რასაც მოჰყოლია მკვლელობა. მკვლელი დაუპატიმრებიათ.

შეცდომის გასწორება. „ცნობის ფურცლის“ მე-2897 ნომერში მოთავსებულია კორესპონდენცია გურიიდან. მოხსენებული იყო ექიმი ივანე დარასელია. უნდა ყოფილიყო ფარნა დარასელია.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

◆ ჩვენს გაზეთში მოყვანილი ცნობა, რომ ა. გამრეკელი ლეჩხუმის მაზრის უფროსად ინიშნება და გურუშვილი ოზურგეთის მაზრის უფროსის თანაშემწედ, სიმართლეს მოკლებული აღმოჩნდა.

◆ 29 ამ თვეს ქუთაისის გუბერნატორთან გამოცხადდა 8 კაცი აზნაურნი გამყრელიძენი და სთხოვეს დახმარება. ბ-ნთ გამყრელიძეების სიტყვით, ვიღაც კაცებს, რომელნიც მათ ადგილზე დგანან, ხელი აუღებინებიათ მამულზე და ეს ხომ არ იკმარესო, სთქვეს გამყრელიძეებმა, სახლშიაც აღარ გვაყენებენო. გუბერნატორმა შემწეობა აღუთქვა და რამდენადაც ჩვენ ვიცით, თითონ აპირებს წასვლას ამ საქმის გამოსაძიებლად და მოსაწესრიგებლად.

◆ **ქუთაისში ახლად დაარსებული** დრამატიული კომიტეტი უკვე შეუდგა ზრუნვას ქართულ წარმოდგენების მოწესრიგებისათვის. ამ დღეებში თათბირი ჰქონდა ქუთათურ მსახიობებთან, რომელთაც, როგორც გვითხრეს, უკვე შეჰკვრია პირობით. სეზონი ქართულ წარმოდგენებისა ბ-ნ ლ. მესხიშვილის რეჟისორობით თხუთმეტ სექტემბრიდან დაიწყება.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე ვაგონების გაძარცვამ ეპიდემიური ხასიათი მიიღო. ქუთაისის რკინის გზის სადგურზე ისე ვაგონი არ მოვა, რომ რამე ნივთი არ იყოს მოპარული. 23 აგვისტოს, როდესაც ფოთიდან მოსული ერთი ვაგონი გახსნეს, შიგ არ აღმოჩნდა 15 ცალი სხვა და სხვა ფარჩეულობა, ხუთი ათას მანეთად ღირებული. ამავე დღეს ტფილისიდან მოსული ვაგონი რომ გახსნეს, ორ ყუთზე რაღაც ეჭვი აიღეს და გადასწონეს. ყუთები ორი ფუთი მეტი მოვიდა. როცა ყუთი გახსნეს, შიგ კოჭა ძაფის მაგივრად, მარგილები, თივა, ბზე და ნაბდის ძველი ნაგლეჯები აღმოჩნდა. სულ ამ ორ ყუთიდან 600 მანეთის ძაფი წაუღიათ.

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

31 აგვისტოს.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. სამოქალაქო სამსახურის წესდებაში, „ნოვოე ვრემია“-ს სიტყვით, გადაწყვეტილია შემდეგი წესის შეტანა: ახალგაზრდებმა უნივერსიტეტის გათავების შემდეგ, სამსახური უსათუოდ პროვინციალურ დაწესებულებებში უნდა დაიწყონ. ცენტრალურ დაწესებულებებში გადასვლა შეუძლიანთ მხოლოდ არა ადრე სამის წლისა; გადაწყვეტილია აგრეთვე გააფართოვონ იმ ადგილების რაიონი, რომლებშიაც სახელმწიფო სამსახურში შესვლის ნება აქვთ იმ პირთ, რომელთაც, თავიანთის მდგომარეობის გამო, არ აქვთ ამის უფლება.

უმაღლეს წრეებში დაჟინებით ამბობენ, მანუხინი მინისტრობას თავს ანებებსო. მის მოადგილედ ბარონ ნოლდეს ასახელებენ.

„რუსს“-ი ამბობს ოფიციალურ სტატიაში, პოლონეთის საზოგადოება გარკვეულად ამბობს, რომ მას ავტონომიის მიღება სურსო. პროექტი შეუმუშავებია ამ ავტონომიის შესახებ რუსეთის ერთს მოწინავე ჯგუფთაგანს. ამ პროექტს სახეში მარტო პოლონეთი როდი აქვს, არამედ ყველა ნაციონალური ჯგუფები, რომელთაც შეუძლიანთ

წყალობით წარმოებასა სახალხო განათლებასა და მეცნიერებაში გაგვისწრით თქვენ, ესე იგი ჩვენ ყარის-მოყვრებს.

— ნუ თუ მეცნიერება-შიაც?

— ასე წარმოიდგინეთ, მეცნიერებაშიაც გაგვისწრით ბისმარკისეულ რესპუბლიკას. ჩვენ ბევრად მეტი უნივერსიტეტი გვაქვს, უმაღლესი და საშუალო სასწავლებელი, წიგნთ-საცავი, სამეცნიერო საზოგადოება, ჟურნალი, გაზეთი. ჩვენში ყველა მცხოვრებნი გადიან ხუთ და ექვს კლასიან სკოლებს და ყველას ბავშვები, ასე გასინჯეთ—პრეზიდენტისა და მინისტრებისაც-კი, ერთსა და იმავე ელემენტარულ სკოლაში სწავლობენ. რამდენიც გინდათ, უარ-ჰყავით ჩვენი სახელმწიფო და ჩვენი წარმატება,—ჩვენ ჩვენ საქმეს ვაკეთებთ და როდესაც თქვენ სოციალ-დემოკრატიის მოქმედება მიუხდება, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ვერ ასცდება ჩვენს გაკვალვალს. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი პარტია ერთ ადგილზე გაიყინება. ეს არის ხვედრი ყოველ ცენტრალისტურ და ბიუროკრატიულ სახელმწიფოსი.

ლაპარაკში მეორე გერმანელი ჩაერია. მოხუცი, კეთილის და შეუპოვრის გამომეტყველებისა, იგი ჩვეულებრივ ჩუმად იჯდა და დიდი ყურადღებით ისმენდა ჩვენს კამათს. მოხუცი მონაწილეობას იღებდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ლიტერატურას, ხელოვნებასა და ფილოსოფიას შეეხებოდით ხოლმე. ეს მოხუცი ყველას გვიყვარდა და ყველანი პატივსა ვსცემდით.

— ხომ იცით, მეგობრებო, რომ პოლიტიკა ჩემი სამოღვაწეო არ არის. მაგრამ მაინც უნდა ვსთქვა, რომ ბევრი სიმართლეა ჩვენ ამერიკელ მეგობრის სიტყვებში. ცენტრალიზმმა და მილიტარიზმმა თითქმის ბოლო მოუღო ჩვენი ხალხის შემოქმედებას და ორიგინალობას. ოდესღაც, სახელდობრ ამ ნახევარი საუკუნის წინად, სავსებით ჰყვაოდა გერმანელთა მეცნიერება, პოეზია, მუსიკა და ფილოსოფია. გონებრივ და არტისტულ მოღვაწეობის ყველა დარგში გოლიათები გვყავდნენ. იმათი სახელები ყველამ იცით. ახლა? ამ უკანასკნელ ოცდაათ-ორმოც წელს გერმანიამ გვიძღვნა მხოლოდ ჩვეულებრივი, შუათანა კაცები. პირველ ხარისხოვანი მეცნიერები მოგვცა ძველმა გერმანიამ, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო შებორკილი ცენტრალიზმით და მილიტარიზმით. ახალგაზრდა მწერლებიც კი, მაგალითად, ჰაუპტმანი, შვილები არიან არა ცენტრალისტურ და დისციპლინით გამსჭვალულ გერმანიისა, არამედ იმ დროის გერმანიისა, როდესაც ბატონობდა ფილოსოფია კერძო და საზოგადოებრივ თავისუფლებისა, როდესაც გამეფებული იყო ავტონომია და ფედერალიზმი. თვით სოციალ-დემოკრატიის ცენტრალიზმმა და დისციპლინამ დაუხშო ორიგინალობა და მოუსპო ნიჭი. ლასსალისა და მარქსის შემდეგ პარტიას არ შეუქმნია არც ერთი მოაზრე, არ შეუქმნია არც ერთი ახალი აზრი.

— ბებელი? რას იტყვით ბებელზე?

— ბებელი საყვარელი კაცია. მაგრამ რა ახალი აზრი სთქვა ბებელმა? იგი უდიდესია თქვენ შორის, მაგრამ ახალი აზრი არც იმას უთქვამს. ასეა მთელ პარტიაში: ახალი, ორიგინალური, შემოქმედებითი არა მოეპოვება-რა. ამას, მერწმუნეთ, თქვენ და პარტიის საწყენად არ ვამბობ. გული მიკვდება საყვარელ გერმანიისათვის, ჩვენი ხალხისათვის. განა საწყენი არ არის, რომ უდიდესმა პარტიამ—თქვენ ხომ ორ მილიონს აღემატებით...

— სამს და არა ორს!—ამაყად წარმოსთქვა სოციალ-დემოკრატმა.

— სამს... დაე, პარტიამ, რომელიც სამ მილიონს აღემატება, ორმოცის წლის განმავლობაში ვერ შექმნა ვერც ერთი მოაზრე, ვერ მოგვცა ვერც ერთი ახალი აზრი? მოდი და სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემი!.. სახელმწიფოს და პარტიის ცენტრალიზმმა, დისციპლინამ და ბიუროკრატიამ მოჰკლა ორიგინალობა, დაბადა შაბლონობა. შემოქმედება და გენიალობა ჰყვავის მხოლოდ თავისუფლების დროს, საზოგადოებრივი ცხოვრება ვითარდება მხოლოდ კერძო ინიციატივის დროს... დაე, დაე! ჩვენი გერმანია დისციპლინისა და ცენტრალიზმის მეოხებით ერთ წერტილზე გაჩერდა და წინ ვეღარ მიდის...

მოხუცი გაჩუმდა. ჩვენც ერთ ხანს ჩუმად ვიყავით. ამისმა სიტყვამ, ცოტა არ იყოს, ყველანი დაგვაფიქრა. ბოლოს ჩემმა რუსმა ამხანაგმა—მწერალმა და პროფესორმა—ნელა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ და მორცხვად დაიწყო... ასე ლაპარაკობენ, ჩვეულებრივ, რუსები განათლებულ ევროპიელთა წრეში. საიდან გაჩნდა ეს მორცხვობა—არ ვიცი, მაგრამ ფაქტი ყველას მიერ აღიარებულია: მოლაყბეთა და თავხედთა გარდა, განათლებული რუსები მეტად მორიდებულნი არიან განათლებულ ევროპიელებთან ლაპარაკის დროს.

— თქვენ,—მიმართა მან მოხუც გერმანელს:—გერმანიის თანამედროვე გონებრივ ცხოვრებას პირველად შეხედეთ გულ-დაწყვეტილ ინტელიგენტის თვალით... სწორედ გასაკვირველია! მე თვით მარქსისტი გახლავარ და ღრმად ვადევნებ თვალს გერმანიის სოციალ-დემოკრატიას. იმისი ცენტრალიზმი, მტრობა ეროვნების წინააღმდეგ, დისციპლინა პარტიისა—ყველა ეს მეცნიერების, პოლიტიკის სამსოფლიო ეკონომიის გვირგვინად მიმაჩნდა. დიახ, ასე მეგონა, მაგრამ თქვენ მართალი ხართ, როდესაც ამბობთ, რომ ბისმარკის იმპერიას და ლიბკნეხტის, ბებელის, კაუტსკის და სხვათა გერმანიას არ შეუქმნია არც ერთი დიდი ნიჭი, არც ერთი დიდი აზრი. შილლერი, გეტე, ჰეინე, ლორენც შტეინი, ბერნე, ლასსალი და მარქსი, ბეტჰოვენი, შუბერტი, შუმანი და ვაგნერი ბუმბერაზ მთებივით დაჰყურებენ თანამედროვე თაობას. ნუ თუ ეს მართალია? ეს უნიჭობა შედეგია ცენტრალიზმისა? ვიცი, რომ ცენტრალიზმით გამაგრებულ ბიუროკრატიას, როგორც ჩვენშია, შეუძლიან დაახშოს კონკრეტი ცხოვრება. მაგრამ არასოდეს არ მიფიქრებია, თუ დისციპლინას ცენტრალიზმზე დამყარებული პარტიისა შეჰქმნიდა უნიჭოთა სამთავროს. მართლაც და მართალია პარტიამ ორმოცის წლის განმავლობაში ვერ მოგვცა არა თუ ლასსალი და მარქსი, ნიჭიერი კაცებიც-კი. კაუტსკი, ბერნშტეინი და სხვები ხომ უფრო ბედით გახდნენ გამოჩენილნი... ბრმათა შორის ცალთვალიც მხედველიაო, ნათქვამია. ამათი საქმე ასეა: ჩვეულებრივმა კომპილიატორებმა დაიპყრეს თავისუფალი ადგილები მოაზრეთა და სწავლულთა... ყველა ამას ვხედავ, ნათლად ვხედავ. მხოლოდ ერთი რამ მაფიქრებს—საფრანგეთი. საფრანგეთი ცენტრალიზმის კლასიკური ქვეყანაა, ჰო და აი ამ ქვეყნის მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება და მთლად კულტურა წინ მიუძღვის კაცობრიობას. რა მიზეზია, რომ ცენტრალიზმმა და დისციპლინამ გერმანიას დაუხშო შემოქმედება და ორიგინალობა, ხოლო საფრანგეთი კაცობრიობის სათავეში დააყენა?

— Parbleu!—შესძახა ფრანგმა.—ძალიან ადვილი გასაგებია ეგა: ჩვენი გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, არტისტები და სოციალური რეფორმატორები, ე. ი. ყველა ისინი, განაც საფრანგეთს სახელი გაუთქვეს, მტრები იყვნენ ცენტრალიზმის, დისციპლინისა და ქედის მოხრისა. მაგრამ ამაზე მერე მოგილაპარაკოთ. დაუბრუნდეთ ნორვეგიას. იცით, რომ შვედეთსა და ნორვეგიაში ზეფობს დინასტია ბერნადოტების, ჩემი თანამემამულეების. იცით თუ არა, ბატონებო, ისიც, რომ ნორვეგია შვედეთს ნება-ყოფლობით, საერთაშორისო ხელშეკრულობით შეუერთდა?

ამ უკანასკნელის მუხლი გარკვეულად სცნობს თავის თავზე დაცვას ხელშეკრულობის პირობებისა ნორვეგიის უფლებათა შესახებ. მაგრამ თან და თან შვედებმა და მეფემ დაივიწყეს ეს ხელშეკრულობა და ნორვეგიას ისე დაუწყეს ქცევა, როგორც უბრალო პროვინციას და თან და თან დაივიწყეს ხელშეკრულობით დადგენილი პირობები. აქვს თუ არა ნორვეგიას ნება დაიცვას თავისი უფლებები? საერთაშორისო უფლების ძალით, თუ ერთი მხარე არ ასრულებს ხელშეკრულებას, მეორე მხარე მოვალეა არა თუ მოითხოვოს ამ ხელშეკრულების ასრულება, არამედ დაუყოვნებლივ თავისი თავი დამოუკიდებლად გამოაცხადოს, შეადგინოს საკუთარი მთავრობა, დასდოს კავშირები სხვა სახელმწიფოებთან, იქონიოს სესხები და თუ საჭირო იქნება, ომი დაუწყოს ხელშეკრულების დამრღვევთ. ნორვეგიას რომ თავისი თავი დამოუკიდებლად არ გამოეცხადებინა, არ შეექმნა მთავრობა, იმავე საერთაშორისო უფლების ძალით, იგი დაჰკარგავდა ყველა თავის უფლებას.

ეს ბოლო სიტყვები ჩვენმა მოსაუბრემ ცხარედ და მკაფიოდ სთქვა. მაგრამ ჩვენი ყურადღება უფრო მიიქცია საერთაშორისო უფლების პრინციპებმა.

— ილაპარაკეთ ხელშეკრულებით დადებულ და ისტორიულ უფლებებზე!—ირონიით სთქვა გერმანელმა სოციალ-დემოკრატმა.—ვინ ხელმძღვანელობს ეხლა ამ უფლებით ან რა არის ახლა უფლება? ძალაა უფლება—Macht is Recht—და წვრილ ერებს სხვა არა დარჩენიათ რა, რომ დაემორჩილონ ბედს და შეესისხლხორცდნენ დიდ სახელმწიფოებს!..

— მაკვირვებს თქვენი აზრი. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ საერთაშორისო უფლებების მეცნიერება თანასწორებად სცნობს პატარა შვეიცარიას და თქვენ დიდ სამხედრო იმპერიას. Macht is Recht—დევიზია ბარბაროსობისა და ძალმომრეობის დროისა. განათლებულმა ქვეყნებმა საუკუნოებით ბრძოლით აიძულა მტარვალნი და მჩაგვრელნი შეიცნონ საერთაშორისო უფლების პრინციპები. თქვენი ბისმარკი სცდილობდა უწინდელ, ძალმომრეობის უფლების აღდგენას. თქვენს და თქვენ პარტიას არ შეშვენის ბისმარკის დროშის ქვეშ ამოდგომა. სუსტთა უფლების დაცვა მოვალეობაა ყოველ პატიოსან კაცისა და თავისუფალ ხალხისა.

— ჩვენ, გერმანელები, და ჩვენი პარტია არ ვიბრძვით ნაციონალურ საკითხების და განწყენებულ უფლებებისთვის.—სთქვა სოციალ-დემოკრატმა.

— აი სწორედ ამიტომ ჩვენში არ არის თავისუფლება არც პიროვნებისა და არც საზოგადოებრივი, როგორც ეს ამერიკასა და ინგლისშია!—მიუგო ხმა მაღლა მოხუცმა.

ხელ-ახლა სიჩუმე ჩამოვარდა.

ვ. ფაზიანი.

(შემდეგი იქნება)

მიიღონ ავტონომია. იმ ოლქებისთვის, რომელთაც განსაკუთრებული ავტონომია მიეცემათ, სახელმწიფოს საერთო წარმომადგენლობა არ სცემს ადგილობრივ კანონებს. საერთო კანონები იმ დარგებს შეეხებიან, რომელნიც არ შედიან ავტონომიურ დაწესებულებათა კომპეტენციაში. თვითეულ ნაციონალურ ჯგუფს ნება ექნება დააარსოს თავისი სკოლა სამშობლო ენაზე სწავლებით და აგრეთვე ყოველი საზოგადოება ეროვნულის ხასიათისა. იმ ოლქებში, საცა რუსები სრულებით არა სცხოვრობენ, ადგილობრივ ერის ენა ეთანასწორება სახელმწიფო ენას სასამართლოსა, სკოლებსა და ადმინისტრაციაში.

„სლოვო" სტატიას უძღვნის კავკასიის ამბებს და მთავარ მიზეზს ადგილობრივ მთავრობის უმოქმედობაში ხედავს: მთავრობამ არ მიიღო ზომები ძვირფასს მრეწველობის დასაცველად, არ მისცა ნება მრეწველთ ჰყოლოდათ საკუთარი დამცველები, მაშინ, როცა მთელს კავკასიას მოდებული ჰქონდა რევოლიუციის ალი და როცა ბაქოში შეუწყნარებელი ჟლეტა იყო სომხებსა და თათრებს შორის. სახელმწიფოს მოთავეობისა და კრედიტორის როლი კი არ უნდა ეკისრნა, არამედ პირადის მონაწილეობით სრულიად უზრუნველ უნდა ეყო მრეწველობა მოულოდნელ შემთხვევებისაგან.

პეტერბურგის ნავთის მრეწველთა თათბირზე 30 აგვისტოს შეიმუშავეს ვეებერთელა წერილის რედაქცია ფინანსთა მინისტრისათვის გადასაცემად. ამ წერილში აღნიშნულია, თუ რა ზომები უნდა იხმარონ ნავთის წარმოების აღსადგენად.

საკრედიტო ნაწილის შესახებმა კანცელარიამ მოუწოდა კერძო ბანკების წარმომადგენელთ, შეიკრიბნენ 31 აგვისტოს საერთო თათბირზე იმ ზომების განსახილველად, რომელთა მიღება საჭიროა ბაქოს ამბების გამო.

პეტერბურგი. განზრახვა აქვთ დააარსონ საგანგებო კომიტეტი ყველა იმ საკითხთა განსახილველად, რომელნიც შეკავშირებულია სახელმწიფო სათათბიროს მოქმედებაში შემოსვლასთან. კომიტეტს თავმჯდომარედ შინაგან საქმეთა მინისტრი ბულიგინი ეყოლება.

ბეჭდვითი საქმის შესახები კომისია 15 სექტემბერს განაახლებს სხდომებს. თვითონ პროექტი სახელმწიფო სათათბიროს წარედგინება დასამტკიცებლად. კომისია გაარჩევს აგრეთვე ებრაელებისა, პოლონელებისა და სომხების პერიოდიულ გამოცემათა დებულებას. პროექტს ამუშავებენ იმს შესახებ, რომ წინასწარ ცენზურის მაგიერ შემოიღონ კონფისკაცია გაზეთებისა, ჟურნალების და წიგნების ცალკე ნომრებისა და სასამართლოში იძრან საქმე ავტორის წინააღმდეგ.

საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს საშუალო სასწავლებლების რეფორმის ახალ შემუშავებული პროექტი სახელმწიფო სათათბიროში გაატაროს.

„ნაშა ჟიზნ"-ი იუწყება, სამხრეთის ნახშირის მრეწველნი ცდილობენ ისარგებლონ ნავთის სიმშილობით და ჰგზავნიან ნახშირს რუსეთის ჩრდილოეთისა, ცენტრისა და აღმოსავლეთისკენ, მაგრამ ვაგონების უქონლობა და მაღალი ტარიფი ძლიერ აბრკოლებს საქმესო.

ცნობა საქართველოს ეკლესიის სვე ბედზე

მკითხველებმა იციან უკვე, რომ უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო და მერმისს რუსეთში მოხდება სრულიად რუსეთის საეკლესიო კრება. კრებაზე განხილულ უნდა იქმნას რუსეთში მართლ-მადიდებელთა ეკლესიის მდგომარეობა.

გაზეთებში დაბეჭდილია მომავალ კრების პროგრამა, რომელიც უწმ. სინოდის ობერ-პროკურორმა ყველა ეპისკოპოსებს გაუგზავნა. ამ პროგრამიდან სჩანს, რომ კრებას საყურადღებო საკითხები ექნება გადასაწყვეტი, სახელდობრ პატრიარქობის დაარსება, საეკლესიო ოლქების შემოღება, მღვდლების არჩევა ხალხისაგან და სხვა.

ჩვენთვის უფრო საყურადღებოა, რომ პროგრამაში საქართველოს ეკლესიაზედაც არის ლაპარაკი. გაზეთები ასე გადმოგვცემენ ამ ადგილს: „სინოდის ობერ-პროკურორი მოსახერხებლად და სასარგებლოდ სცნობს, საქართველოს ეკლესიის ავტონომია იქმნას აღიარებული; ამიტომ ურჩევს ეპისკოპოსებს წინდაწინვე ბეჯითად მოისაზრონ, ამგვარი ავტონომია საწინააღმდეგო ხომ არ იქნება რუსეთის სახელმწიფოს ერთიანობისა და ხელს ხომ არ შეუწყობს საქართველოს პოლიტიკურ განცალკევებას რუსეთისაგან".

ამრიგად, საკითხი აღძრულია და ჩვენს ეკლესიაზე სჯა-ბაასი იქნება. ვგონებთ, არც იმის დამტკიცება იქნება ძნელი, რომ საეკლესიო თვითმმართველობა უფრო გააერთიანებს იმპერიას, ხოლო, პირიქით, ცენტრალიზაცია უფრო შეუწყობს ხელს ადგილობრივ ეკლესიის სრულ მოსპობა-განადგურებას; ეს-კი არ შეადგენს იმპერიის ინტერესს.

ქუთაისის ქალთა სამეურნეო საზოგადოების „შრომა"-ს წევრთა კრება.

21 აგვისტოს, ქალაქის გამგეობის დარბაზში, მღვდლის მათიკაშვილის თავმჯდომარეობით, მოხდა ქალთა სამეურნეო საზოგადოების „შრომა"-ს წევრთა კრება.

წაკითხულ იქმნა საზოგადოების მოქმედების ანგარიში დღიდან დაარსებისა, ე. ი. 1904 წლის 15 ივნისიდან 1905 წლის 31 ივლისამდე. როგორც ამ ანგარიშიდან სჩანს, ამ ჟამად საზოგადოებას ჰყავს 100 საპატიო და 1500 ნამდვილი წევრი. საზოგადოების გამგეობაში იმყოფება ქ-ნ ნ. პ. ქიქოძის მიერ დაარსებული სამეურნეო სკოლა, სადაც მოწაფე ქალებს, საზოგადო განათლების გარდა, ასწავლიან: მეაბრეშუმეობას, აბრეშუმის თესლის დამზადებას, ჭრა-კერვას, ქსოვას, მერძეობას, მებოსტნეობას, მეფუტკრეობას, შინაური ფრინველების მოშენებას, მზარეულობასა და მეოჯახეობას. სწავლის კურსი ხუთ-წლიანია. საანგარიშო დროს განმავლობაში სკოლაში სწავლობდა სულ 68 მოწაფე; ამათგან 19 ყოფილა პანსიონერი და 49 გარედან მოსიარულე. სასწავლებელს ჰყოლია 10 მასწავლებელი, რომელთაგან მხოლოდ ოთხი იღებდა ჯამაგირს, თვეში 10—15 მანეთამდის, ექვსი კი სრულიად უსასყიდლოდ ასწავლიდა. საანგარიშო წელში სწავლის საქმე საკმაოდ შეუფერხებია საზოგადო მოძრაობას, რადგან ბევრმა მოწაფემ შიშის გამო ან სრულიად დაანება სწავლას თავი, ან ხშირად უშვებდა გაკვეთილებს. საანგარიშო დროს განმავლობაში საზოგადოებას შემოსვლია სულ 2,848 მან. 29 კაპ., ამავე დროს დაუხარჯავს—3,080 მან. 43 კ.

საზოგადოების საბჭოს ყოველი ღონისძიება უხმარია ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამისათვის მრავალი დაწესებულებისა და კერძო პირისათვის მიუმართავს შუამდგომლობით შემწეობის აღმოსაჩენად; ამათგან ზოგს დაუკმაყოფილებია თხოვნა, ზოგი დაჰპირებია შემწეობის აღმოჩენას, ზოგს ჯერ-ჯერობით პასუხი არ მიუცია და ზოგსაც უარი უთქვამს შემწეობის აღმოჩენაზე. საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს აგრეთვე მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე შესახებ იმისა, რომ ნება მიეცეს მას გახსნას ქუთაისში ჯერ-ჯერობით დაბალი სამეურნეო სასწავლებელი 5 წლის კურსით. სამინისტროს ქუთაისის გუბერნატორისაგან მოუთხოვნია ცნობები საზოგადოების მდგომარეობის შესახებ. ბ-ნს გუბერნატორსაც წარსულს თვეში სასურველი მოხსენება წარუდგენია სამინისტროსათვის. გამგეობას იმედი აქვს, რომ სამინისტრო შეიწყნარებს შუამდგომლობას.

როგორც აღმოჩნდა, საზოგადოების მოქმედების ანგარიში სარევიზიო კომისიის მიერ არ იყო განხილული; ამის გამო ანგარიშის დამტკიცება კრებამ შეუძლებლად სცნო. ძველი კომისიის ნაცვლად კრებამ ამოირჩია ახალი კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს საზოგადოების ანგარიში. კომისიის წევრებად ერთხმად არჩეულ იქმნენ: ბ-ნნი ო. ლ. ქორქაშვილი და ზ. კ. ჩიკვაიძე; გამგეობის წევრების კანდიდატებად:—მ. ლ. ქორქაშვილი და ბ-ნი პ. თვალჭრელიძე. საზოგადოების საპატიო თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ქუთაისის გუბერნატორი ბ-ნი სტაროსელსკი.

დანარჩენ საკითხების განხილვა შემდეგ კრებისათვის გადაიდო. საზოგადოებამ დაავალა საბჭოს შემდეგისათვის წარმოუდგინოს სარევიზიო კომისიის მიერ განხილული ანგარიში და მომავალ წლის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვა.

დასასრულ კრებამ მადლობა გამოუცხადა ქ-ნთ ნ. პ. ქიქოძისას, მ. ი. მათიკაშვილისას, ც. ნ. ერისთავისას, ფ. ჯ. თავდგირიძეს, ლ. გ. გოგობაძეს, ბ-ნთ ნ. მკურნალს და ი. რ. მაისუროვს, რომელნიც საანგარიშო წლის განმავლობაში უსასყიდლოდ ასწავლიდნენ მოწაფეებს სხვა და სხვა საგნებს, და დაადგინა სთხოვოს მათ, რომ შემდეგშიაც არ მოაკლონ საზოგადოებას ჩვეულებრივი დახმარება.

ამასთან არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის სამწუხარო მოვლენა, რომ საზოგადოების წევრები ძლიერ გულგრილად ეკიდებიან ისეთ სიმპატიურსა და სასარგებლო საქმეს, როგორიცაა ჩვენს დაქვეითებულ ქალთა შორის საზოგადო განათლებისა და სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელება: არ ესწრებიან კრებებს; თუ ესწრებიან და ისე სხედან დარბაზში, თითქოს მათ სრულიადაც არ აინტერესებდეთ საზოგადოების საქმე, არ შემოაქვთ საწევრო ფული, არ ეხმარებიან საზოგადოების საბჭოს შემოწირულების შეკრებით და სხ. მამაკაცები თუ გულგრილობენ, ქალებმა მაინც მეტი გულმხურვალეობა უნდა გამოიჩინონ და ყოველი ღონისძიებით უნდა დაეხმარნენ ამ ერთად-ერთ საქალო სამეურნეო საზოგადოების კარგს ნიადაგზე დამყარებას.

რუსეთის ქრონიკა

კრება-ყრილობების პროექტი. ახლად შემუშავებულ კრება-ყრილობების კანონ-პროექტში შეტანილია, სხვათა შორის, შემდეგი მუხლები: 1. ყრილობებზე არ უნდა წარმოითქვას სახელმწიფოს ძირითად წეს-წყობილების საწინააღმდეგო სიტყვები; 2. აკრძალულია მთავრობის ამა თუ იმ ჟურნალ-გაზეთების საწინააღმდეგო სიტყვების თქმა; 3. აკრძალულია ვისიმე კერძო ცხოვრებისა და პიროვნების ცუდად ხსენება და განკიცხვა; 4. სარევოლიუციო სიტყვა—მოძღვრების შესახებ რამე საკითხი უნდა განხილულ იქმნას აკადემიურად და 5. ხსენებულ მუხლთა დარღვევისათვის კრებებზე დამსწრე პოლიციის მოხელე ვალდებულია დახუროს სხდომა და გაიყვანოს საზოგადოება დარბაზიდან. („რ. ვ.")

შესანიშნავ ცვლილებების მოლოდინი. „ნეტ. გაზ."-ს სიტყვით, როდესაც სახელმწიფო სათათბიროს წარმომადგენელთა არჩევნები დაიწყება, მოისპობა ომიანობის დროის და გაძლიერებულ დაცვის წესები იმ ადგილებში, სადაც ასეთი წესებია შემოღებული.

წარმომადგენელთა რაოდენობა. უკვე გამოირკვა რამდენი წარმომადგენელი ეყოლებათ სახელმწიფო სათათბიროში პოლონეთისა და კავკასიას. სულ სათათბიროში იქნება 500 კაცი, აქედან პოლონეთის წარმომადგენელი იქნება—15, კავკასიისა—28. („რ.").

ღია წერილი ბ-ნ სვიმონ ძველაიას

6 ამ აგვისტოს, ქ. ფოთში, ქალაქის გამგეობის დარბაზში, სამედიატორო სასამართლო არჩევდა ცნობილ საქმეს, ბ-ნთ თ. სახოკიას და ჩხიკვიშვილს შორის ატეხილს. ამ სასამართლოს ჩხიკვიშვილმა წარუდგინა თავის გასამართლებელ საბუთად წერილი ბ-ნ XX-ისა, ჟურნალ „მოგზაური"-ს № 23 დაბეჭდილი და გამოუცხადა სასამართლოს, ეს წერილი ბ-ნ სვიმონ ძველაიას ეკუთვნისო. ხსენებულ წერილში ავტორი, სხვათა შორის, ჰლანძღავს და ჩირქსა სცხებს ქ. ფოთის მოქალაქეთა კრების მიერ ქურდების საწინააღმდეგოდ მოწვეულ ყარაულებს და ამათ ხელმძღვანელ 28 პირთაგან შემდგარ კომისიას. ლანძღვა-გინება გამოიხატება, სხვათა შორის, ამ სიტყვებით: „შეადგინეს შავისაგან შავი რაზმი, რომლის მიზანია მეგრელების დაცვა გურულებისაგან, ხელმძღვანელობენ ამ რაზმს ზნეგაფუჭებულნი პირნი, რომლებიც მზად არიან ორ გროშად გაყიდონ მეგრელობა" და სხ.

საჭიროდ მიგვაჩნია აქვე მოკლედ გავაცნოთ მკითხველ საზოგადოებას აღნიშნულ ყარაულების დანიშნულება: ყარაულების დანიშვნა, დათხოვნა, ყარაულების რიცხვი, სამსახურის ვადა და ჯამაგირის დანიშვნა დამოკიდებულია ფოთის მოქალაქეთა კრების სურვილზე, ერთად-ერთი მიზანი ყარაულებისა არის: ენერგიული ბრძოლა ქურდების წინააღმდეგ. თვით საზოგადოება ხელს უწყობს ყარაულებს ქურდების გაძევებაში; ყარაულებს არა აქვთ დამოკიდებულება პოლიციასთან და ამიტომ უფლება არა აქვთ ჩაერიონ რაიმე საპოლიციო საქმეებში; ყარაულებს ხელმძღვანელობს კრების მიერ არჩეული კომმისია, 28 პირთაგან შემდგარი; კომმისსიაც და ყარაულებიც შესდგებიან გურულ-მეგრელ-იმერელთაგან.

ჩვენ არა გვჯერა, რომ ეს წერილი ეკუთვნოდეს ისეთ წინდახედულ პირს, როგორიც არის ბ-ნი ძველაია; არა გვჯერა, რომ ის გვირჩევდეს ხელი ავიღოთ ქურდების საწინააღმდეგო ზომებზე, ან ჩვენ გვიცნობდეს „ზნეობით დაცემულებათ" და „ხალხის გამყიდველებად"... მაგრამ, ყოველ შემთხვევაში უმორჩილესად ვთხოვთ ბ-ნ ძველაიას გამოააშკარავოს გაზეთის ფურცლებზე: ეკუთვნის მას მოხსენებული წერილი თუ არა? და თუ ეკუთვნის, რა საბუთებით ამტკიცებს მის წერილის საფუძვლიანობას".

ფოთის მოქალაქეთა ყარაულების საქმეების გამგე კომისია: ა. ხოშტარია, ქ. კედია, ს. სარია, შ. ცხადაია, კინტარია გვასალია, მ. ესაკია.

წერილები

ს. მუხრანი (ქართლი) ძმობა-ერთობის ხმამ ჩვენის სოფლის ყველა გლეხის ოჯახი დაიარა ამა წლის მარტიდანვე. მუხრანელების საერთო ხმამ, შედარებით რომ ვსთქვათ, მრავალი სარგებელი მოუტანა. მუხრანიდან მოკიდებული ქსნის სადგურამდე საძოვარი ადგილი მათ ლატაკს მამულს მიუმატა და ფართოთ გაიშალა მინდვრებზე გლეხის შინაური საქონელი. სხვა შეღავათთან და მდგომარეობის გამაუმჯობესებელ პირობების შექმნის იმედიც აქვთ მუხრანელებს, ახალმა სიომ ისე ძლიერად დაჰბერა, რომ ჩვენი გლეხიც წელში გაიმართა და იმედით შესცქერის მომავალს, ველარ აშინებს იმ ბნელ ძალების თარეში, რომელთაც მშრომელი უმრავლესობა საწყალ ფურად გადაექცია.

მოსავალი როგორც პურისა, ისე სხვა პირნახულისა კარგია წელს ჩვენსკენ, ხოლო ხშირმა წვიმებმა მეტად შეაწუხა მცხოვრებნი და ბევრს მათგანს უკვე მომავალი და შემოსული პირნახული გაუფუჭა.

ამ ხუთიოდე დღის წინად ჩვენს სოფელში ერთი არა ჩვეულებრივი ამბავი მოხდა, რომელმაც მთელი სოფლის მცხოვრებნი ღამის სამ საათზე წამოშალა. აღნიშნულ დროს ისეთი საშინელი ხმა მოისმა, რომ მცხოვრებნი ფეხზე დააყენა; სოფელში ხმაურობა და ჩოჩქოლი ასტყდა. ხალხი ერთმანეთს განცვიფრებული ეკითხებოდა, რა მოხდაო. მაგრამ ვერავინ ვერაფერი გაიგო. მეორე დღეს ადგილობრივ მემამულეს თავ. ესტატე მუხრანსკის სასახლის ძირში ციხის კედელში დინამიტი შეედვა და აეფეთქებინათ, რომელსაც აღმოსავლეთი კედელი მთლად გამოეგლიჯა, ეს ხმა იყო, რომ მთელი მუხრანი წამოშალა.

X

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

1 სექტემბერი

პეტერბურგი. გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება რომლის ძალით გაუქმებულია განკარგულება ამერიკიდან შემოტანილ საქონელზე გადიდებულ ბაჟის ადების შესახებ. გაზეთების ცნობით თავად-აზნაურთა კრებაზე ცხარე კამათი ჰქონდათ მოსამზადებელ არჩევნებზე ხალხის დასწრების შესახებ. 14 ხმა წინააღმდეგი იყო დასწრებისა. ბოლოს უმეტესობამ გაიმარჯვა.

ტოკიო. ოფიციალურად ირღვევა ის ხმა, თითქოს მიკაზას დაღუპვა აჯანყების ბრალი იყოს. გემის ამოღებას შეუდგნენ.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

1 სექტემბერი

გოძიადანი, 31 აგვისტო. შეთანხმება მოხდა რუსის და იაპონიის რწმუნებულთა შორის დროებით ზავის ჩამოგდებაზე. რწმუნებულნი ორანოვსკი და ფუკუშიმა შეხვდნენ ერთმანეთს პირველი ლაპარაკობდა რუსულად, მეორე იაპონურად; თარჯიმნად იყვნენ [illegible] და ტანაკა. აქტი შედგენილია რუსულს და იაპონურ ენებზე. შეთანხმების ძალით მანჯურიაში უნდა შეწყდეს მტრული მოქმედება ფრონტებს შორის 8 ვერსტის სიგანის ნეიტრალური ზოლი უნდა აქნეს გავლებული. საზღვრები ქარტაზე იქნება აღნიშნული. ნეიტრალურ ზოლში ვერ შევლენ სამხედრო პირნი თუ საჭირო იქნება შემდეგისთვის მიმოსვლა, ამისთვის გზა დასტოვეს შუაშოაგზისა და შახეგზის შორის. დროებით ზავი ძალაში შევა 3 სექტემბერს შუადღეზე. რაც ნეიტრალურ ზოლებში დარჩენილ რუსის გუშაგებს შეეხება, ადგილზე შეთანხმება რომელიმე [illegible], საცა შეიკრიბებიან რწმუნებულნი. შეთანხმება საღამოს 7 საათზე იქნა ხელმოწერილი. ორანოვსკიმ და ფუკუშიმამ ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს და უკან დაბრუნდნენ.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა შეაჩერა გაზეთი „რუსკოე დელო" ერთის თვით.

ტოკიო, 1 სექტემბერი („რეიტერი"). ნაშუადღევს იოკოგამაში მენავეებისა და გლეხებისაგან შემდგარი ბრბო, 5500-მდე კაცი, თავს დაეცა და დაანგრია 11 პოლიციის ბუდკა. შემდეგ ბრბომ იერიში მიიტანა პოლიციის ბიუროსა, დამოჯენსა, მთავრობისა და დიდ სავაჭრო დაწესებულებებზე. ტოკიოდან მსწრაფლის მატარებლით გაჰგზავნეს 400 სალდათი, რომელნიც საკონსულოებსა და საქონლის საწყობებს იცავენ, სადაც ასაფეთქებელი ნივთიერებანი და ნავთის ქვაბებია მოთავსებული. გუბერნატორმა და ქალაქის თავმა გამოუშვეს პროკლამაციები, რომლებითაც სთხოვენ მცხოვრებთ, მიანდონ მთავრობას წესიერების აღდგენა. საგანგებო დარაჯი უვლის 600 რუსს, რომელნიც კარაფუტოდან მოვიდნენ და სასტუმროში არიან ჩამომხტარი. პოლიცია ხმალ-ამოღებული იფარავდა თავს ბრბოსაგან. თავს-დამცემნი ხმლებითა და ჯოხებით იყვნენ შეიარაღებულნი. მძიმედ დაჭრილი 3 პოლიციელი, მსუბუქად 37. პოლიციელებმა სადგომებს ნავთის საშუალებით უკიდებდნენ ცეცხლს, ამჟამად წესიერება, როგორც ეტყობა, აღდგენილია.

ბაქო, 1 სექტემბერი. 31 აგვისტოს ტეხნიკურ საზოგადოების ბაქოს განყოფილებამ დაადგინა, წინადადება მიეცეთ ბაქოს რაიონის ინჟენრებს, ტეხნიკებს, ხელოსნებსა და მუშებს არ დაიწყონ მუშაობა სამრეწველოებსა და ქარხნებში, სანამ არ შეიმუშავებენ და არ განახორციელებენ ისეთ ღონისძიებათ, რომელნიც მუშაობის სრულს უშიშრობას უზრუნველ-ჰყოფენო.

ტოკიო, 1 სექტემბერი. აქ შეკრებილ გუბერნატორებისადმი მიმართულ სიტყვაში პირველმა მინისტრმა კაცურამ ბეჯითად აღნიშნა, ზავის ჩამოგდების შემდეგ უნდა ძლიერ ვეცადნეთ, რომ ომის დროს შეწირულმა მსხვერპლმა დიდი და სასარგებლო ნაყოფი მოიტანოს და გუბერნატორებს ურჩია, დიდის ზომიერებით იმოქმედეთ უწესობის ჩაქრობის დროსაო.

პეტერბურგი. სარწმუნოების თავისუფლების შესახებ დანიშნულ სათათბიროს წევრმა ჩერევანსკიმ მოხსენება შეადგინა მუსულმანთაგან მიღებულ პეტიციების თანახმად. მუსულმანთა მოთხოვნილება 32 მუხლისაგან შესდგება. იმათგან უმთავრესია—მეჩეთების გახსნისა და სასულიერო პირთა არჩევნების თავისუფლება; მუსულმანთა სამღვდელოება რუსულ ენის ცოდნის მოვალეობისაგან განთავისუფლდეს; სამღვდელოებას ისეთი უფლება მიეცეს, როგორც მართლმადიდებელ სამღვდელოებას აქვს მიცემული; მისიონერთა მოქმედება მუსულმანთა შორის აიკრძალოს. ჩერევანსკის მოხსენება შესაძლებლად სცნობს, რომ ხსენებული მოთხოვნილებანი, უკანასკნელ მოთხოვნილების გარდა, შესრულდეს ცოტაოდენის ცვლილებით.

ტოკიო, 1 სექტემბერი. აქ იაპონიის ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენელთაგან საზოგადოებას აარსებენ იაპონიის მრეწველობის განსავითარებლად და გარეშე ვაჭრობის გასაძლიერებლად, მეტადრე კორეასა და ჩინეთთან. საზოგადოება უცხოელ წარმომადგენელთა მონაწილეობით აპირობს მუშაობას. ზოგიერთ პარტიის 11 წევრმა მთავრობას წარუდგინა საჩივარი, რომელშიაც ადმინისტრაციის მოქმედებას არჩევენ და ამტკიცებენ, რომ ადმინისტრაციამ მოუხერხებლობა გამოიჩინა ტოკიოში მომხდარ უწესობის ჩაქრობის დროსო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ვ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 26 აგვისტო 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ სტ.	93,95
ბერლინისაზე 100 მარკაში.	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,60
ბერლინისაზე „	46,27 1/2
პარიზისაზე „	37 57 1/2
ბირჟის დისკონტი	5 1/2—6 1/2
4% სახელმწიფო რენტა	89 3/4
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4 1/2% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	85
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	447
5% მე-2 შინ. სეს. მომ. ბილ. 866 წ.	341 3/4
5% გირ. მომ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	285
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	—
5 1/2% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
5% გირ, ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4 1/2% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ამცია.	219 3/8

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № (20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.) 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ., (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. გზამ № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს.ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.);. 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღ. 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.) 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ.) 2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 ს. (8 ს. 20 წ.).

შორაპნამდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
ღია არის დილით 10—2 საათ
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—8 „

განცხადებანი

სახელოსნო სასწავლებელი ა. მირიანოვისა და ნ. ბერიძისა, გადატანილ იქმნა კარგად მოწყობილ ახალ შენობაში გონჩარნი ქუჩიდან ავჭალის ქუჩაზედ № 19, სახ. ზალიევისა. ვასწავლით საუკეთესო ხელოვნებას და წიგნებითაც გავდივართ საჭირო საგნებს, ვიღებთ საცხოვრებლად ქალებს. (3—336—3)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვის და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მსესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ვ. ნ. ბულაძის სადგომზედ, ოლღას ქუჩაზე № 4/8, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (წ.)